# საერთო გაზეთი

№41 (680)
ოთხშაბათი
14 დეკემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## ანაკლიის პორტი სახელმწიფოს თანამონაწილეობით აშენდება, სადაც 51 პროცენტის მფლობელი სახელმწიფო იქნება



23 წლამდე სტუდენტები, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ სამხედრო წვრთნა გაიარონ სტუდენტობის პერიოდშივე, წლის ვადაში შეეძლებათ პროგრამაში ჩართვა, წელიწადში დაახლოებით 1-თვიანი ინტენსიური მომზადების პროგრამა ექნებათ სამხედრო ბაზებზე და იდენტურ, ძირითად სამხედრო მომზადების პროგრამას გაივლიან.

ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი, ეს განაპირობა ორნიშნა ეკონომიკურმა ზრდამ, ქვეყნის შიდა პროდუქტი გაიზარდა თითქმის 30 მილიარდი ლარით ბოლო 2-3 წელიწადში, გაისად მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 80 მილიარდი ლარი.

„გირჩის“ დაფუძნებულ რელიგიურ ორგანიზაციაზე - ადამიანს ეუბნებოდნენ პირდაპირ, თავი აარიდე შენს მთავარ კონსტიტუციურ მოვალეობასო. ამაზე დიდი მავნებლობა და მტრობა შენი ქვეყნის რა შეიძლება იყოს? ასე რომ ეს საკითხი მოგვარებულია.

## სად წავიდა იმ ხალხის ნება, რომელმაც პირველი ოქტომბერი მოიყვანა?!



### იგორ კვესელავა:
## უკრაინა – სადგისი რუსეთისა და ევროპისთვის

„მაიდანი“ ომის რეპეტიცია გახლდათ, რომელიც ამერიკელებმა მოაწყვეს

ჩვენი ქვეყანა თუ ერთ მუშტად არ შეიკვრება, დაიშლება, ამ ინტერვიუსაც შემდეგი შეძახილით დავამთავრებ: ჭკუით, ქართველებო!

### ნანა კაკაბაძე:
## როდის შედგება ქართული ნიურნბერგის პროცესი?!

კანონი ყველასთვის ერთია, სამომავლოდ პენიტენციური სისტემა ყველა პატიმარს ანალოგიურად უნდა მოექცეს. მით უმეტეს, თუ ის წონაშიც დაიკლებს, თმაც გაუთეთრდება და თმის ცვენაც დაეწყება





### ლია კრიალაშვილი:
## მიშას და მისი გუნდის მობრუნებას ქართველი ხალხი არ დაუშვებს!

მიშა დამნაშავეა და ის სასჯელი, რაც მას მიუსაჯეს, მინიმალურია მის მიერ ჩადენილი დანაშაულების ფონზე

### ვაჟა შუბითიძე:
## სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა ამერიკელებმა ჩაშალეს

ამერიკელებმა სააკაშვილი თავად გაწირეს. დიახ, სწორედ ამერიკელების დამსახურებაა, რომ სააკაშვილი ციხეში ზის



## ეჭვმიტანილია სამართალი!



## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ეჭვმიტანილია სამართალი!

## სად წავიდა იმ ხალხის ნება, რომელმაც 1-ელი ოქტომბერი მოიყვანა?

**1945 წლის აპრილში, ბოლო ოპერატიულ თათბირზე საკუთარ უწყებაში, იოზეფ ჰებელსმა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ხელქვეითების კამათში არ ერეოდა, უცებ თავი აწია და თქვა: „ბატონებო, რატომ თანამშრომლობდით ჩვენთან? ახლა თქვენ ამისთვის დაგსჯიან“, – ადგა და ისე გავიდა, რომ პროპაგანდის სამინისტროს პირდაღებული ჩინოვნიკებისთვის ზედაც არ შეუხედავს**




### სამართალი დუმს

„ნაციონალური მოძრაობის“ ავანსცენაზე დიდი მოძრაობაა, გაიყვნენ, დაიყვნენ, გადაჯგუფდნენ, შეერთდნენ... საშინლად აუტანელი საყურებელი და მოსასმენია მათი ეს ტივტივი... პოლიტიკურ სუბიექტს, რომელსაც სხვა ქვეყნისთვის შეგნებულად აქვს გადაცემული საქართველოს ტერიტორიის 20%, აწამებდა, აუპატიურებდა და ხოცავდა საკუთარ მოქალაქეებს, შექმნა მედიამონოპოლია და ძარცვავდა ქვეყანას, არ აქვს უფლება, არსებობდეს და ვინც მას აცოცხლებს, დამნაშავეა!

აი, რატომ!

სამეგრელოში მიკვლეული სამალავიდან ამოღებულ ვიდეოფირებზე გადაღებული კადრების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ერთ-ერთ სადავო საკითხად იქცა იმის განსაზღვრა: ცალკეული პირები იყვნენ დამნაშავეები და კონკრეტულად მათ უნდა აგონ პასუხი, თუ სისტემური დანაშაული იყო და სისტემის შემქნელებმა უნდა აგონ პასუხი; ვინ უნდა დაისაჯოს, დანაშაულის ჩამდენი, თუ ჩანაწერების გამავრცელებელი...

როგორც ჩანს, ფაშისტური გერმანის ერთ-ერთი მთავარი თავკაცი ბევრად სამართლიანი ყოფილა, ვიდრე დღევანდელი ქართული სამართალი, ხოლო ფაშიზმის იდეოლოგები ბევრად ვაჟკაცები, ვიდრე ქართული ფაშიზმის შემქმნელი იდეოლოგ-პროპაგანდისტები.

იმას, რაც საქართველოში კოჰაბიტაციის სახელით მოხდა, რეალურად რაც ჰქვია, ისტორია დაარქმევს, მაგრამ მანამდე? სად წავიდა იმ ხალხის ნება, რომელმაც 1-ელი ოქტომბერი მოიყვანა?..

სოცქსელიდან ვირტუალურ მეგობარს ვუბამ მხარს ფანტაზიაში — „ახლა წარმოვიდგინე ასეთი მოდელირება — ნიურნბერგის პროცესი არ ჩატარდა.

ის კი არა და, გერინგი, გებელსი, რიბენტროპი და შახტი დაკავებით კი დააკავეს, მაგრამ სასამართლომ გირაოთი გამოუშვა;

ბორმანმა ოჯახთან ერთად საიდუმლო ბუდე მოაწყო არგენტინაში და გერმანელ ხალხს წერილებს წერს;

ჰიმლერი, კალტენბრუნერი და ჰაიდრიხი გაქცეულები არიან სადღაც;

კეიტელმა ბიზნესი წამოიწყო ისრაელში...

რაც მთავარია, ჰიტლერი განუწყვეტლივ მოგზაურობს სამხრეთ ამერიკაში, საუდის არაბეთში, იაპონიაში (რა თქმა უნდა, იაპონიაც არ დაუბომბავს არავის), ჩინეთსა და შვეიცარიაში (მონტრეში ისვენებს ზამთარში და ლოზანაში — ზაფხულში) და წუხს, რომ მისი მმართველობის ბოლო წლებში ჰინდენბურგიდან გადმოყოლილმა და შემოპარულმა ვიღაც ორმა ტიპმა, რომელთაც არავინ იცნობდა პირადად — ვინმე მიულერმა და ვინმე ახმანმა, ცოტა ჩირქი მოცხეს რაიხს, დაახლოებით 6 მლნ ებრაელისთვის არასათანადო სამუშაო პირობების შექმნით, რის გამოც ეს უკანასკნელნი სხვადასხვა დაავადებებით გარდაიცვალნენ. ჰიტლერი ძალზე წუხს, რომ ეს ორი ნაძირალა დროზე ვერ გაშიფრა და მოითხოვს მათ დაკავებას და სასტიკად გასამართლებას.

საღამოობით, გერინგი, გებელსი და რიბენტროპი „დოიჩე ველეს“ თოქ-შოუებში გამოდიან და ადენაუერის ხელისუფლებას სასტიკად აკრიტიკებენ უმუშევრობის ზრდისა და გერმანელი ერის იმედების გაცრუების გამო. შპეერი და შახტი გერმანული ეკონომიკისა და მარკის მოახლოებულ კრახზე ლაპარაკობენ. შპეერმა თავისუფალი უნივერსიტეტი დააარსა და ლოზუნგად ნაცნობი ფრაზა შეინარჩუნა — Aრბეიტ Mაცჰტ Fრეი…“

ამ ყველაფრის შემხედვარე ჰიტლერმა განზე გადადო საქონლის უმი ხორცით სექსუალური სიამოვნების მიღება და იმავე საქონლის ხორცით მომზადებულ ბიფსტროგანოვს მიეძალა. შემდეგ „რუსსკაია ვოდკა“-თი გვარიანად გამომტყვრალი ჩარლი ჩაპლინის გრიმით საკუთარი ნებით შეიპარა ციხეში და გაილაჯა. მძიმე „პახმელიაზე“ კი საკუთარი შეღებილი და წარმტაცი ქოჩრის წიწკვნა დაიწყო, მაგრამ გვიანი იყო. ნიუ□ნბერგის პროცესის ბრალმდებლებს ადვოკატები უმტკიცებდნენ, რომ ჰიტლერი ჩაპლინი იყო, რომელიც 36 დაავადებით იტანჯებოდა და მკურნალობას საჭიროებდა თავისივე სამშობლოში თუ არა, ამერიკაში მაინც...

სასაცილოა? — ნიურნბერგის პროცესიდან ასი წლის შემდეგ რომ ჰკითხონ თვით გერმანელ ერს, ხელებს გაასავსავებს...

ასი წელი არ არის საჭირო. მაშინვე, როდესაც ამერიკულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში გერმანელ სამხედრო ტყვეებს აჩვენეს, რა სისტემას ემსახურებოდნენ, თვალებზე ხელს იფარებდნენ შეძრწუნებულები...

მხოლოდ ცალკეულმა პირებმა კი არა, მსოფლიომ ნახა ფაშისტების მიერვე გადაღებული საზარელი კადრები და არავის მოსვლია აზრად სისტემის შემქმნელ კაცთმოძულეებთან თანაცხოვრება და სწორედ ამით ჩამოირეცხა ეროვნული სირცხვილი გერმანიამ...

„კოჰაბიტაცია „ნაცების“ გადასარჩენად შემოაგდეს ამერიკელებმა და ამათაც მეტი გზა არ აქვთო“, — ერთი დასკვნა აქვს გამოტანილი საქართველოს მოსახლეობის ნაწილს..

რადგან ამერიკელის სიტყვა გადამწყვეტი ყოფილა, ამერიკელს მოვუსმინოთ, ჭკუისსაკითხავ სოციოლოგსა და პოლიტოლოგს სამუელ ჰანტინგტონს: „საკითხთა ფართო წრეში იაპონელმა და სხვა აზიელმა ლიდერებმა ისწავლეს „არა“-ს თქმა თავიანთი ამერიკელი კოლეგებისთვის. ზოგჯერ აზიური თავაზიანობით, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, ასე ჟღერს „დაახვიე აქედან!“ აზიურმა სახელმწიფოებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარმატებას სწორედ ამ „არა“-ს წყალობით მიაღწიეს.“

სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოების აზრი ასეთია: არ იტყვის საქართველოს ახალი ხელისუფლება „არა აშშ-ს მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას!“ და თვით მიიღებს ქართველი ხალხისგან „არა“-ს რასაც, ფაქტობრივად, იღებს კიდეც...

ქვეყანას, რომელსაც სამართალწარმოების ისეთი სისტემა აქვს, რომ არაკაცს, რომელსაც ბრალი დაკავებულის სკამის ფეხით გაუპატიურებაში ედება და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებენ, თავმოყვარე ქვეყანა არ ჰქვია, მისი ხელისუფალნი კი უკვე თვით ხდებიან ეჭვმიტანილები და არა მხოლოდ ერთი პირის, ერის გაუპატიურებს წინასწარ განზრახვაში...

ხელისუფლება, რომელიც არ აღიარებს მის ქვეყანაში არსებულ სისტემურ დანაშაულს, თვითონ ხდება დამნაშავე!

საინტერესოა, თუ სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის დამფარავი დამნაშავისა და დანაშაულის თანამონაწილეა, რატომ არ ვრცელდება ეს ყველაზე, უპირველესად, ხელისუფლების მაღალი რანგის პასუხისმგებელ პირებზე, რომლებმაც იციან, ვინ არიან დამნაშავე სისტემის შემქმნელები და სამართლებრივად არ რეაგირებენ?

სამართალი ეჭვმიტანილია დანაშაულის დაფარვაში, განზოგადებულად კი ადამიანები, რომლებიც დანაშაულში ეჭმიტანილების გასამართლებაზე ფეხს ითრევენ და, სავარაუდოდ, ამას არც აპირებენ.

უარესი — ხალხში გავრცელდა ხმები, რომ ფარულ ჩანაწერებში საკუთარი თავის ამოცნობის გამო გარკვეულმა პირებმა გამიზნულად დაადუმეს სამართალი...

### გმირობის ბანალურობა

აბუ-გრეიბის ცნობილი სკანდალის შემდეგ მსოფლიომ „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ შესახებ გაიგო, რომელსაც მანამდე გრიფი „საიდუმლო“ ედო. ექსპერიმენტმა ის მექანიზმები გამოავლინა, რომლებსაც ადამიანებში გამაოგნებელი სისასტიკის გამოწვევა შეუძლია.

აღმოჩნდა, რომ ყველა ჩვენგანს შეუძლია მოძალადედ იქცეს და მოთხოვოს პატიმარს ცხოველთა შეწყვილების ინსცენირება, რადგან ყველა საშინელება ჩვენშივეა ჩადებული და მის გამოსავლენად საკმარისია ადამიანისთვის ინდივიდუალიზმის ჩამორთმევა და ძალაუფლების მინიჭება. აღმოჩნდა, რომ იზოლაცია, „ჯგუფური ეფექტი“ (ვისაც ლიდერობა უნდა, ის უფრო სასტიკად იქცევა) და მოწყენილობა, ეს სამი ფაქტორი საკმარისია, რომ გასართობად სხვა აწამო...

ძალაუფლება სისტემაშია; სისტემა ქმნის სიტუაციას, რომელიც აფუჭებს ინდივიდს და ესაა კანონი — პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემა და კულტურა, სწორედ ეს ქმნის ცუდ გარემოს. ასე რომ, თუ გსურთ შეცვალოთ პიროვნება, უნდა შეცვალოთ სიტუაცია; თუ გსურთ შეცვალოთ სიტუაცია, უნდა იცოდეთ, სისტემაში სად არის ძალაუფლება.



5 გვ.



# როდის შედგება ქართული ნიურნბერგის პროცესი?!

## იცნობთ ისეთ პატიმარს, რომელიც ციხეში სტრესს არ განიცდის? მაშინ გავათავისუფლოთ ყველა პატიმარი და ციხეებიც გავაუქმოთ!

*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, „ემპათიის“ დასკვნის თანახმად, სააკაშვილს ისეთი დაავადებები სჭირს, რაც არათუ სასჯელის გადავადების, არამედ მისგან სრულად გათავისუფლების საფუძველს იძლევა. რეალურად რა სჭირს სააკაშვილს?**

— რეალურად სააკაშვილი დაავადებულია ხელისუფლებაში ყოფნის მძიმე და უკურნებელი სენით, რაც პაციენტში წლების განმავლობაში სხვადასხვა მწვავე ფორმით გამოვლინდა და რამაც ქართულ სახელმწიფოს ზიანი მიაყენა. კერძოდ, მას აღენიშნება სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობისკენ მიდრეკილებები, რაც ერთხელ უკვე განახორციელა და მამასავით მზრუნველი შევარდნაძე მმართველობას ჩამოაცილა. ძალაუფლებისკენ ლტოლვა მას წონასწორობას აკარგვინებს. დღეს სააკაშვილი ცდილობს, ყველა შესაძლო მანიპულაციითა და სიმულაციით სასამართლოს მიერ დაკისრებულ არაადეკვატურ და მსუბუქ სასჯელს თავი დააღწიოს და ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მიშას დაპატიმრების დღიდან ძალაუფლების დაბრუნებისათვის ბრძოლის მიუღებელ მეთოდებში გაჩნდა სიახლე — მისი წნევის, ჭამის მადის თუ კუჭის მოქმედების ამსახველი „დრამატული“ ინფორმაციები, რაც ბოლო ერთი წლის პოლიტიკურ დღის წესრიგს განაპირობებს. უკვე ერთი წელია, სამედიცინო დასკვნის გარეშე ვისმენთ სააკაშვილის ხელოვნურად დამძიმებული დაავადებების (სუნი ასდის, ვერ ჭამს, ვერ მეტყველებს და ა.შ.) შესახებ. რაც შეეხება ჯიშკარიანს, მისი დასკვნა სამედიცინო დიაგნოზი კი არა პრეს-რელიზია. მაკა ჯიშკარიანის პოლიტიზირებაზე აღარ მინდა ლაპარაკი, საერთაშორისო გრანტებს იღებს, რათა „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს ემსახუროს.



**— რას ემსახურება ხელოვნურად დამძიმებულ დაავადებებზე საუბარი? სხვათა შორის, მისი გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ადვოკატებიც ლაპარაკობენ.**

— გამოგონილი ტყუილების მიზანი ნათელია — იხატება შემდეგი სურათი: „ხელისუფლება პუტინის დავალებით სააკაშვილს კლავს, წამლავს, აწამებს“, „პრეზიდენტის სიცოცხლის დაცვა ქართველების ღირსების საქმეა“ და ა.შ. რაც შეეხება ადვოკატებს, ზოგადად, საქართველოში მათი დაცვის სტრატეგია, რატომღაც, ტყუილზეა აგებული. ანუ, სახელმწიფოს მოტყუებაზე. როცა ადვოკატი ასეთ სტრატეგიას ირჩევს, ეს ზნეობრივად გაუმართლებლად მიმაჩნია. მან სამართლიანი გზებით უნდა შეძლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაცვა და არა ისე, რომ ყველაფერი იკადროს და სახელმწიფო დაადანაშაულოს, რათა თავად კარგი ჰონორარი ერგოს. ხაჭაპურიძე ამბობს: სისხლის ნიმუშებით ვერ დადგინდება სააკაშვილის მოწამვლის ფაქტიო. მაშინ რა უშლის მას ან სააკაშვილის ოჯახს, ან მის პარტიას ხელს, რომ ნიმუშები თავად გააგზავნონ ნებისმიერ ქვეყანაში, ფული ხომ აქვთ?! მათ მიერ გაჟღერებულ დასკვნაში საუბარია, რომ სააკაშვილის ორგანიზმში მომწამვლელი ნივთიერებები აღმოჩნდა, თუმცა, იქ მოწამვლაზე არაფერი წერია. აღმოჩენილი ნივთიერებები არის თუ არა მოწამვლის შედეგი? — ამ დასკვნას ვერ დებენ იმიტომ, რომ რეალურად სააკაშვილის ორგანიზმში აღმოჩენილი ნივთიერებები არანაირი მოწამვლის შედეგი არ არის. ასე რომ, სააკაშვილის მოწამვლაზე საუბარი სპეკულაცია, უზნეობაა და სხვა არაფერი. მართალი გითხრათ, გაოგნებული ვარ — ხაჭაპურიძეზე კარგი წარმოდგენა მქონდა და ვერ ვხვდები, ახლა რა დაემართა — როგორ შეიძლება, ყველანაირი მეთოდი გამოიყენო იმისთვის, რომ ჰონორარი გადაჭარბებით მიიღო.

**— ქალბატონო ნანა, გასაჯაროვდა კიდევ ერთი, ლომჯარიას მიერ შექმნილი კონსილიუმის ექიმების დასკვნა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— როცა ექიმი დასკვნას დებს, იგი კანონმდებლობაშიც უნდა ერკვეოდეს. გაიძახიან: მიშა ცუდად არისო. ეს რას ნიშნავს? ცუდად ბევრი ვინმეა. სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულია კანონი, სადაც ჩამოთვლილია დაავადებათა ნუსხა, რომლებიც სასჯელის გადავადებას ექვემდებარება. სჭირს სააკაშვილს ამ ნუსხიდან რომელიმე დაავადება? — აი, ეს უნდა თქვან ამ ექიმებმა, თორემ, ის, რომ ცუდად არის, არ ჭამს, კუჭში ვერ გადის, ვერ მეტყველებს, საკმარისი არ არის. მიშა კარგად არ არის და ამიტომ სასჯელისგან გაათავისუფლეთო, ეს რა საუბარია? ეს დილეტანტობაა თუ შეგნებული საბოტაჟი?! რატომ ერევიან ექიმები პოლიტიკაში?! გადახედონ ამ კანონს, სულ სამი-ოთხი გვერდია, ნახონ დაავადებათა ნუსხა და შესაბამისი კომპეტენტური აზრი გამოთქვან. თუ არადა, რას მაიმუნობენ ამხელა რეგალიების მქონე პიროვნებები, სირცხვილი არ არის? სხვა პაციენტები როგორ უნდა ენდონ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ამ ექიმებს?! საკმარისია ეს მანიპულაციები, საქმეზე ილაპარაკონ.

სხვათა შორის, ბუნდოვანებას ნათელი მოჰფინა ამ კონსილიუმის ერთ-ერთმა წევრმა, ექიმმა გიორგი გრიგოლიამ, რომელმაც განაცხადა: „მიხეილ სააკაშვილის სრული განკურნება ამ პირობებში შეუძლებელია, რადგან მას არანაირად არ ეხსნება სტრესი, რამაც მისი დღევანდელი მდგომარეობა გამოიწვია“. ანუ, სააკაშვილის ერთადერთი დაავადება ყოფილა ის, რომ პატიმრობას ვერ ეგუება და აქვს სტრესი. მოკლედ, სააკაშვილს აქვს ძალაუფლების ნოსტალგია, არ მოსწონს დღევანდელი სტატუსი და ამ ნიადაგზე აქვს სტრესი და დეპრესია. გამოდის, **თუ კანონი ყველასთვის ერთია, სამომავლოდ პენიტენციური სისტემა ყველა პატიმარს ანალოგიურად უნდა მოექცეს. მით უმეტეს, თუ ის წონაშიც დაიკლებს, თმაც გაუთეთრდება და თმის ცვენაც დაეწყება.**

დიახ, სააკაშვილის გარდა, კიდევ ცხრა ათასი პატიმარი ზის ციხეში. როცა ჯიშკარიანი სააკაშვილის გათავისუფლებაზე საუბრობს, მინდა ვკითხო: მაშინ რა ბედი უნდა ეწიოთ იმ პატიმრებს, რომლებიც რეალურად სააკაშვილზე ბევრად მძიმე ავადმყოფები არიან, მიშას მიერ ჩადენილი დანაშაულების მემილიარდედიც არ ჩაუდენიათ და მაინც ციხეში იხდიან სასჯელს?! თუ სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს, მაშინ ჯერ ციხის კარები უნდა გაიხსნას და უკლებლივ ყველა პატიმარი გამოვუშვათ.

**— სტრესი ყველა პატიმარს აქვს. ამ ლოგიკით ციხე აღარ ყოფილა საჭირო?**

— კი ბატონო. ვინმე იცნობს ისეთ პატიმარს, რომელიც ციხეში სტრესს არ განიცდის?! ვინმეს სიამოვნებს და ნატრულობს: არიქა, როდის მოვხვდები ციხეშიო?! ნებისმიერი ადამიანისთვის ციხე უმძიმესი სტრესი, დიდი განსაცდელია. დიახ, სტრესის გამო თუ ყველას გავათავისუფლებთ, მაშინ ციხე საერთოდ არ გვჭირდება და გავაუქმოთ. **მიშა არის ძალაუფლებაზე გაგიჟებული მანიაკი. აი, ამ მანიაკზე გვეუბნებიან: კარი გაუღეთ და ციხიდან გამოუშვითო.**



**— ზემოთ ახსენეთ, მიშა მსუბუქი დანაშაულების გამო იხდის სასჯელსო. თქვენი აზრით, რეალურად, რა დანაშაულებების გამო უნდა აგოს პასუხი?**

— კი ბატონო, საზღვრის გადაკვეთაც დანაშაულია და სხვაც, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაზე უფრო დიდი დანაშაული რომელია?! რატომ არ აქვს ამ საქმეზე ბრალი წარდგენილი? ერთი ის, რომ კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა და ზემო აფხაზეთი დაარქვა, მეორეც — გაირკვა, როგორ აპირებდა დავით გარეჯის ტერიტორიების გასხვისებას. ორი უმსხვილესი დანაშაული სახეზეა და ბრალი წარდგენილი არ აქვს. როგორ, **ქვეყნის ღალატი დანაშაული არ არის?! თუ, რადგან სააკაშვილმა სამშობლოს ღალატის მუხლი გააუქმა, მოღალატედ აღარ ითვლება?!** ეს მუხლი იმიტომ გააუქმა, რომ ზუსტად იცოდა: როცა ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა, ამ მუხლს თავად მას წაუყენებდნენ და ასე დაიზღვია თავი. სისხლის სამართლის კოდექსით, ტერიტორიების გასხვისება ისჯება, მათ შორის, უვადო პატიმრობით. ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მიწაზე რუსის ჯარი დგას. სააკაშვილმა ამ უმძიმეს დანაშაულზე პასუხი არ უნდა აგოს?! **დღეს მიშას მომხრეები გაჰყვირიან: მიშა საჭმელს ვერ ჭამს და ამაზე მთელმა ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოსო. კი, მაგრამ თეთრაძე ციხეში სასტიკი წამებით რომ მოკლეს, ამაზე სააკაშვილმა არ უნდა აგოს პასუხი?! მოლაშვილს რაც დამართეს, ამაზე ვინ არის პასუხისმგებელი?!** ციხეში ვინმე დატოვა სააკაშვილმა წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის გარეშე?! ნაცები ვითომ გასამართლებულები არიან, ამ დროს ყველა გარეთ არის — ახალაიები, მერაბიშვილი, უგულავა. სააკაშვილიც, ალბათ, დღე-დღეზე ციხეს დატოვებს, რადგან სასაცილო სასჯელი აქვს მისჯილი. მიშა ხალხს ასი ლარის ქურდობისთვის 25 წლით უშვებდა ციხეში. **სამწუხაროდ, დღემდე არ მომხდარა,**

7 გვ. →

# ქალბატონო დედა, ეგება ვეფხვის დედაი თქვენზე მწარედა სტირისა?



„ვის აქვს უფლება, შეიძულოს ცოდვა და შეიყვაროს ცოდვილი, არა განიკითხოს, არამედ გადარჩინოს? — ეს უფლება ჯვარზე გაკრულმა ქრისტემ მიანიჭა ადამიანებს...

„მამაო, მიუტევე...“ — ეს სიტყვები ბოროტებაზე გამარჯვებაა არა ძალმომრეობით, არამედ სიყვარულით“ (ვასილი ეგზემპლიარსკი).

ეს უფლება და ეს სიტყვები ის ღირებულებებია, რასაც ადამიანი ვერ ისწავლის, თუ მასში არ ბუდობს როგორც თვითნაბადი, დაუმუშავებელი ალმასი, რომლისგანაც თვალისმომჭრელი ბრილიანტი აკიაფდება. გენეტიკურად ნამდვილ ქართველებს უხსოვარი დროიდან აქვთ ბუნებაში ეს ბრილიანტი: მიმტევებლობა, დიდსულოვნება, გასაოცარი ჰუმანურობა, მაგრამ აქვთ კიდევ ერთი გენეტიკური მახასიათებელი — აუტანლობა სჭირთ ყი[illegible]მყრალი, ავგული, ცვედანი სულის კაცისა. კაცს ვამბობ, რადგან კაცს მოეთხოვება კაცობა, ვაჟკაცობა, რაინდობა, გმირობა — ამტანობა, თავდადება, გაუტეხლობა და ა.შ. მსგავსი მახასიათებლები ჩამოთვლილი კრიტერიუმების განშტოებებია.

ყმაწვილი ისე უნდა გაიწვრთნას, როგორც მგლის ლეკვი, რომ მისგან მგელი დადგეს. „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს თუ ბუნებამც არ უშველა? — გაიზრდება და დარჩება სიკვდილამდე ჩასვრილ, მასხარად და არარაობად, თუ მისნაირი ყალიბისავე ჩამოსხმულებით არ ისულდგმულა, ერთი მოტირალი კაცის ფიტული იქნება, ისეთი, რუსთაველი რომ ამბობს: „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსაო“.

ჰოდა, ვირისა და პიტნისა არ იყოს, რას გვტენით ცხვირში ამ მოქვითინე მამრს, აპელატებაყრილ სანაშენე ბოცვერს, ვერ მივიღებთ მხოლოდ ქართველები კი არა, არამედ ყველა, ვისაც თავმოყვარეობა და ღირსება გვაქვს; ვისაც სხვისი ჭირი გაგვითავისებია; ვისაც სხვისი ტკივილი გვტკიებია...

ისეთი სულმდაბალი როგორ უნდა იყოს კაცი, რომ ხალხს, ნაცვლად სიბრალულისა და თანაგრძნობისა, მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდეს მასზე — „არა და არასოდეს!“ — რომელ მიტევებაზეა საუბარი!

თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ!

ვაიმე, დედიკო, არ ჭამს (ჩუმად ჭამდა ვირთხასავით. იძულებული რომ გახადეს შესაბამისი უწყება და ფაქტად დაუდეს სანსვლის პროცესი, არიქა, პირადი ცხოვრების კადრები გამოუაშკარავესო);

ვაიმე, დედიკო, ასხივებენო;

ვაიმე, დედიკო, გაწვრთნილი ძაღლი დაუბეს სარკმლის ქვეშ, სარკმლიდან სიტყვაში გამოსვლას რომ იწყებს, ძაღლიც მაშინ იწყებს ყეფას და კომუნიკაციის საშუალებას არ აძლევსო;

ვაიმე, დედიკო, მოწამლესო;

ვაიმე, დედიკო, ურანის დიდი რაოდენობა აღმოუჩინეს ორგანიზმშიო;

ვაიმე, დედიკო, დარიშხანმა გამოუჟონა ფრჩხილებიდანო;

ვაიმე, დედიკო, სამი დასახელების მძიმე მეტალი აქვს ორგანიზმშიო;

ვაიმე, დედიკო, 36 დაავადება აქვსო;

ვაიმე, დედიკო, წონაში დაიკლოო (თითქოს არავინ იცოდეს, რომ კუჭის რეზექცია გაიკეთა და უფრო მეტიც უნდა ჰქონდეს დაკლებული. ბარიტრიულ ქირურგიას თუ უკეთებს რეკლამას, გვითხრას, თორემ იმავე მიზეზით მისი სულიერი დაც კარგად შეფერთხილა (ელისო კილაძე) და სულიერი ძმაც (ნიკა მემანიშვილი). კი მაგრამ, თვითონ არ უნდოდა გახდომა? რა იყო, კოკაინზე „შემჯდარი“ რომ კოკაინის მიღებს შეწყვეტს და წონაში იკლებს, ვითომ არავინ იცის?!);

ვაიმე, დედიკო, საჭმელს ვერ ყლაპავსო;

ვაიმე, დედიკო, აკრძალული რუსული წამლებით მკურნალობენო...

ვაიმე, დედიკო, რომ გადაჰყავდათ, იმ ჯაჯგურში კისრის ორი მალა აქვს გადატეხილიო... ჰოდა, კიდევ ამირანი ჰქვია და ღვიძლს უკორტნიან ხან არწივი, ხან ყვავყორანი...

რამდენი მალა და რამდენი ძვალი ჰქონდათ გადატეხილი ნაწამებ ადამიანებს! რამდენ პატიმარს ჰქონდა ამოცლილი გულღვიძლი და...

კარგით რაა, დაასრულეთ ეს აუტანელი მარაზმი, სირცხვილნამუსის მცირედი მარცვალიც აღარ შეგრჩათ?

არც თქვენ, ქალბატონო დედავ?

დედა ვარ და მესმის, ყველა დედისთვის მძიმეა როდესაც მისი შვილი თავისუფლებააღკვეთილია და ცდილობს, რამენაირად შეუმსუბუქოს სასჯელი, მაგრამ ასეთი უღირსი მეთოდები ვინ გასწავლათ?

„ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!“ — ხომ არ გეცნობათ, ქალბატონო, ხომ არ გეცნობათ?

უპირველესად, ადგილი, სადაც „ნაპატივცემულარი მაღალი“ იმყოფება, ციხე კი არა, უმაღლეს სამედიცინო დონეზე აღჭურვილი სამედიცინო დანიშნულების აპარტამენტია;

მეორე — მისმა მკურნალმა ექიმმა ბრძანა, ვერ ჭამს კი არა, შერჩევით ჭამს და სურვილისამებრო;

მესამე — ხომ იცით, მის მიერ ჩადენილ დანასაულზე მეტი მხოლოდ ზღვაში ქვიშაა, ცაზე — ვარსკვლავები და რაღაც მცირედზე ედავებიან ამ აუტანელი და სამარცხვინო შერჩევითი სამართლით;

მეოთხე — საქართველოს ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ ყველა პატიმარს ერთად არ ექნება ჩადენილი ისეთი და იმდენი დანაშაული, რაც ამ „აფერისტს“ და მათ რატომ არ ეკუთვნით ისეთივე პირობებში ყოფნა ან ისეთივე თავისუფლება როგორიც თქვენს შვილს?

რატომ ერთხელ მაინც არ მოგსვლიათ აზრად, რომ გეყვირათ: „გამოფინეთ თეთრი ბაი-



## მიშას და მისი ქართველი



***ჩვენი გაზეთის სტუმარია სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლის, გია კრიალაშვილის და, ქალბატონი ლია კრიალაშვილი***

**- ქალბატონო ლია, ალბათ, თვალს ადევნებთ მიშას ავადმყოფობის გამო ატეხილ აჟიოტაჟს. რას ფიქრობთ, რა განცდები გეუფლებათ?**

- მიშა დამნაშავეა და ის სასჯელი, რაც მას მიუსაჯეს, მინიმალურია მის მიერ ჩადენილი დანაშაულების ფონზე. რამდენი ადამიანი და ოჯახი გააუბედურა ნაცების შექმნილმა რეჟიმმა. გამოდის გიული ალასანია და შვილი მიკვდებაო, მოსთქვამს. მინდა ვუთხრა დედა გიულის: დედა გიული, როგორ არ გრცხვენია, ენა როგორ გიბრუნდება და იმ ადამიანებს როგორ სთხოვ, შენი მანიაკი შვილი შეიცოდონ, ვისი შვილები და ძმები მისი ხუშტურების გამო მიწაში წვანან. როგორი უტიფარი ქალი ხარ, შენი შვილი საუკეთესო კლინიკის ლოგინში კოტრიალობს, საკანშიც კი არ არის. გაიხსენე, რა პირობებში ისხდნენ შენი შვილის რეჟიმის ციხეში სხვისი შვილები, ძმები, მამები თუ დედები. რამდენი სიცოცხლე მოსპო შენმა ნაძირალა შვილმა. როცა იმ პატიმრების დედები, დები, ცოლები თანადგომას ითხოვდნენ, მაშინ სად იყავი? ერთხელ მაინც თუ გითქვამს შენი მიშასთვის, რომ ასეთი სისასტიკე არ შეიძლებოდა და შეჩერებულიყო? რა თქმა უნდა, არაფერიც არ გითქვამს. დარწმუნებული ვარ, ამართლებდი კიდეც. სინანულის გრძნობაც არ გააჩნია თქვენი ოჯახის არცერთ წევრს. მიშა ცოდვაა, კვდებაო - ვიცით, დამნაშავეები ვართ, გვაპატიეთ, ვნანობთ, რაც მიშამ და მთლიანად მისმა პარტიამ ჩაიდინაო. არა, ამაზე ენა როგორ გიტრიალდებათ, მიშა მართალი იყო, ქვეყანას ასე სჭირდებოდაო, - ამბობდი მაშინ. კარგად გვახსოვს.

მაინტერესებს, თუ შეგცოდებია სხვების შვილები, მაგალითად, ჩემი ძმის, გიას შვილები, რომლებიც უმამოდ დატოვა შენმა შვილმა. ჩემი ძმა, შენი შვილისგან განსხვავებით, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული და პატრიოტი ადამიანი იყო. შენმა კი ოდესის გუბერნატორებას ანაცვალა საქართველოს მოქალაქეობა. ჩემი ძმისშვილები ამაყობენ ვაჟკაცი მამით, შენი შვილიშვილები მამის სისასტიკით იამაყებენ?

ერთხელ მაინც გულთან თუ მიგიტანია გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის, ვაზაგაშვილის, მოლაშვილის და, რა ვიცი, კიდევ რამდენი ჩამოვთვალო, დედების ტკივილი. ისტორიკოსი ხარ, ნუთუ „ვეფხი და მოყმე“ ერთხელ მაინც არ წაგიკითხავს?

მაშინ არ გეცალა, ქონების დაგროვებაზე იყავი გადასული, ყველა უნივერსიტეტში წილი გაქვს. რაო, შენზე უკეთესი მეცნიერი არ მოიძებნა? გულდათუთქული დედების, დებისა თუ ცოლებისთვის ნამდვილად არ გეცალა და არც გენაღვლებოდნენ.

**- ლია, ექიმები მიშას ავადმყოფობის დიაგნოზსაც არ ან ვერ გვიმხელენ...**

რაღები ყველა საპატიმროზეო!“ არა, ამას როგორ იტყვით, ხორხიდან როგორ ამოგივათ ეს სიტყვები, თქვენ ხომ ყველანი „ერთი გუნდი ხართ“, უსისხლოებისა და უჯიგროების. სხვები არასდროს გაინტერესებდათ.

რატომ არ გაგჩენიათ დედობრივი სოლიდარობა ყველა იმ ნამდვილად ნაწამები ადამიანის მიმართ, ვინც ვიღაცის შვილები იყვნენ და მათი დედები მართლა გლოვობდნენ ცოცხალ შვილებს, რომლებსაც ყოველ წამს სიკვდილი ელოდათ. ჩვენ „ვეფხისა და მოყმის ქვეყანა ვართ“, თქვენ საიდან ხართ?!

თქვენ, მუდამ უკანასკნელ მოდაზე და უძვირფასეს სამოსში გამოპრანჭული, ერთხელ მაინც რატომ არ მიხვედით წამებით გარდაცვლილი ერთი პატიმრის ოჯახში სამძიმრის სათქმელად, ისე, თვალთმაქცურად მაინც, ერთგვარი ბოდიშით, ძაძით შემოსილ რომელიმე დედასთან: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდია“, მაგრამ რა ვქნა, ქრისტიანი ვარ, თავს ვერ ვიკლავო...

რატომ მიხვიდოდით, თქვენ ხომ არ გაგიზრდიათ, თქვენ ხომ არც გაგიჩენიათ, უბრალოდ, გაჩნდა...

საინტერესოა, როგორც დედას, არასდროს მოგსვლიათ აზრად, რომ თქვენი შვილი ასე უფრო დაცულია, მას სახელმწიფო იცავს, ხოლო სადღაც მოხეტიალეს, მილიონიდან ერთი შურისძიება მაინც მოეწევა? ლევ ტროცკი მეხიკოში მოკლეს ყინულის საჭრელი ცულით, ოსტაპ ბანდერა — ბერლინში და ა.შ.

„მიშა საქართველოს უზომო სიყვარულმა ჩამოიყვანა საქართველოშიო, — ამბობს ბიძამისი და გვჯერა ჩვენც.

ჰოდა, გვყავდეს!..

ყველა გარდაცვლილის, ნაწამების, დასახიჩრებულისა და მოკლულის ცოდვა თქვენს კისერზეა, როგორც მონსტრის მშობლისა და კიდევ აქეთ საყვედურობთ ვინმეს რამეს? კიდევ აქეთ ეტევებით ვინმეს? კიდევ აქეთ გაქვთ პრეტენზიები?

განათლება არ ნიშნავს ადამიანობას, თუმცა, ვნახოთ...

**„იქნება ვეფხვის დედაი**
**ჩემზე მწარედა სტირისა**
**წავიდე, მეც იქ მივიდე,**
**სამძიმარ ვუთხრა ჭირისა.**
**ისიც მიამბობს ამბავსა,**
**მეც ვუთხრა ჩემი შვილისა.**
**იმასაც ბრალი ექნების**
**უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.“**

არ მჯერა, რომ ახლა მაინც ჩამოივლით კარდაკარ და პატიებას სთხოვთ ყველა დედას და ყველა შვილს, ვინც თქვენმა შვილმა გააუბედურა.

ღმერთისაც არ გწამთ? ახლა მაინც იწამეთ, იქნებ, არ მოგიწიოთ თქვენი ჭყეტელა სამოსის ჩაშავებამ და ბუნების კანონზომიერებამ არ გიმტყუნოთ.

არ მჯერა, რომ ამას გააკეთებთ და იცით, რატომ? ძალიან კარგად იცით, რომ დამნაშავეა, ხოლო თქვენ ის გმირი დედა არ ხართ, ვინც შვილის გამო ყველაფერზე წავა და თავსაც გასწირავს... მინდა ვცდებოდე, მაგრამ ვიცი, რომ არ ვცდები...

არც ის აყლაყუდა იზამს ამას და იცით, რატომ? მანაც იცის, რომ სერიული მკვლელია, ოღონდ ლაჩარი. წელიწადზე მეტია, მზის სინათლე არ უნახავს და სუფთა ჰაერი არ ჩაუსუნთქავს; კლინიკაშიც იმიტომ გაიშოტა, რომ ციხის კედლები სზარავს, ეშინია შურისძიების, ოდნავი ჩქამიც კი ზურგიდან მიპარვად ეჩვენება...

ეცადეთ, ჩამოუარეთ, დაუჩოქეთ და პატიება სთხოვეთ ყველა გაუბედურებულ ოჯახს, ყველა გაუბედურებულ დედას... მიდევნებული ლამპარივით გამოვა, მაგრამ იქნებ, რაღაც შეგიტოკდეთ და აღარ მართოთ უნიჭო სპექტაკლები — ძალიან მოგვწყინდა...

ისე, რატომ არ გეცალათ შვილის გასაზრდელად, არ იცოდით, რომ „სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა, უწვრთნელის შვილის ყოლასა?“

გიყურებთ მთელი საქართველო ამდენი ხანია და ერთი არ გამოგერიათ გაღმა-გამოღმა სანათესაოში, ჯიშსა და ჯილაგში, რომ შეწუხებულიყავით. მთელი მოდგმა ისეთი თავკერძები, უსირცხვილოები და უგულოები ხართ, რომ უდავო ჭეშმარიტებაც კი შეარყიეთ:

„ძაღლი უწვრთნელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები, დედ-მამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქმს ავებსა,
გვარსა და ნათესავებსა სირცხვილი სჭრიდეს
თავებსა.“

მოყმის დედა თანაგრძნობას უცხადებს არა ადამიანს, არამედ დაუნდობელ მხეცს, რომელმაც შვილი მოუკლა — ეს ქართული კოდის, ქართული გენის მატარებელი უმაღლესი ჰუმანიზმია, რაც აბსოლუტურად გაუგებარი იქნება არაქართველისთვის... თუმცა, თქვენ ხომ უსამშობლოები ხართ და ქართველობა რა სახსენებელია, როცა უხსენებლად გეჩვენებათ...

აღიარეთ, რომ თქვენი შვილი დამნაშავეა და ჯანმრთელად არის და ბოლომდე უხმოდ მოიხდის ამ მცირეოდენ სასჯელს. ეს აგამაღლებთ, რაგინდ დაცემული იყოთ...

**ნინო დაუშვილი**

# ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲡ!

- თამარ, ექიმები ყველაზე მთავარს არ ამბობენ, კერძოდ, იმას, რომ მიშამ კუჭის ოპერაცია გაიკეთა წონის რეგულირებისთვის. გახდაო, გაიძახიან, კაცო, ოპერაცია ხომ იმიტომ გაიკეთა, რომ გამხდარიყო? ცუდად იქნება, აბა რა, ტიპი ველარ დაშხუილობს, სადაც და როგორც უნდოდა. აი, მთავარი მისი დიაგნოზი.

**- მიშა ჩაკეტილ საქართველოში ნელი მოქმედების ბომბია. სანამ ეგ აქ ზის, სულ არეულობის მოლოდინშია ხალხი.**

- მიშას აქედან გაშვება არაფრით შეიძლება. ასი ხელწერილი რომ დააწერინონ. როდის და როგორ მობრუნდება უკან, კაცმა არ იცის. ეგ ხომ ერთი წუთითაც არ არის სანდო. უნდა იჯდეს ციხეში. ოღონდ, ციხეში და არა კომფორტში. შეირგოს, სადაც არის და როგორც არის. ღმერთს და მთავრობას მადლობა უთხრას, იმ პირობებში რომ არ უწევს სასჯელის მოხდა, რა პირობებშიც მის დროს სხვა პატიმრები იხდიდნენ სასჯელს. მაგალითად, სულხან მოლაშვილიც ეყოფა, ადამიანს საწოლი და სკამიც კი არ ჰქონდა ოთხ კვადრატულ მეტრ საკანში. კიდევ რამდენი მაგალითი ჩამოვთვალო. რა განსაკუთრებული პატიმარი ეგ გამომივიდა... თუმცა განსაკუთრებულია მის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე. კაცია თუ ვინ არის, ვერ გავიგე. უზნეო ბავშვივით ღნავის დაპატიმრების დღიდან. მოკლედ, საქართველოს სირცხვილია, ცხრა წელი ეს სამარცხვინო, მშიშარა, უზნეო კაცი რომ გვყავდა პრეზიდენტად. მეფე შიშველია...

ამ ქვეყანაში უნდა დამთავრდეს ორმაგი სტანდარტები. კანონი ყველას მიმართ ერთნაირად მკაცრი უნდა იყოს.უნდა დამთავრდეს ნაცების დღის წესრიგით ცხოვრება.

**- მართალი ხართ. უნდა დამთავრდეს, მაგრამ რომ აღარ დამთავრდა...**

- თავად ანზორ მელიამ აღიარა, ბიძინა ჭკვიანი კაციაო. ჩვენ გვეჩქარება, თორემ, რომ დაუკვირდე, დროში, მართალია გაწელილად, მაგრამ მარტივ მამრავლებად დაშალა საქართველოს მოძულე პარტიები. ნელ-ნელა ვირთხებივით დაერევნენ ერთმანეთს. ამაზე მეტი რაღა უნდა დაემართოთ, ხაბეიშვილი განიხილება მიშას პარტიის თავმჯდომარედ. ნაცებს შუბლის ძარღვი რომ ჰქონდეთ, საერთოდ გაისუსებოდნენ. თუმცა, ისეთი უნამუსოები არიან, რომ მშვიდობის ხსენებაზე ცუდად ხდებიან და კრუნჩხვებში ვარდებიან. რაც მათ მშვიდობის ქალაქთან დაკავშირებით იკადრეს, ყოველგვარ ზღვარს სცდება.

ნაცსექტა არ იცნობს ქართველი ხალხის ბუნებას, ასევე, ვითომ მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებიც ძალიან ცდილობენ, უკან მოაბრუნონ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. მაგრამ არაფერი გამოუვათ, მიშა და მისი გუნდი ველარ მობრუნდებიან. ხალხი არ დაუშვებს ამას!

მადლობა ღმერთს, რომ ისეთი მთავრობა გვყავს, რომელიც საკუთარ ხალხს საზარბაზნე ხორცად არ იყენებს და ყველაფერს აკეთებს მშვიდობის შესანარჩუნებლად. ქვეყანა გრძნობს, რომ გარე ძალებს ბრმად, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ არღარ აარევინებენ ქვეყანას. მეც ამის მჯერა.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

# ᲔᲥᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ!

2 გვ. →

„აბუ-გრეიბის“ სკანდალის შემდეგ გენერალი ფეის მოხსენებაში საუბარია, რომ დამნაშავეა სისტემა და მიზეზი იყო გარემოება, ვითარება, რომელიც აბუ-გრეიბში შეიქმნა ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად, რომელმაც ხელი შეუწყო ასეთი დამცირების განვითარებას და იმას, რომ ეს ძალადობა შეუმჩნეველი იყო...

საქართველოში არ აღმოჩნდა „ვინმე ფეი“, რომ სახელი დაარქვას იმას, რაც სააკაშვილის მმართველობის ცხრაწლიან პერიოდში

— არა. ვლადიმერ ბედუკაძის მიერ გამოტანილმა ციხის კადრებმა მხოლოდ ხელისუფლება შეცვალა — სასტიკი სისტემის შემქმნელებს, რა? — მხოლოდ წყევლა-გინება და უმტკივნეულო წკიპურტი, ისიც, შერჩევით...

ფილიპ ზიმბარდო, ფსიქოლოგი, „სტენფორდის ციხის ექსპერიმენტის“ ხელმძღვანელი: „გმირობის ბანალურობა იმაშია, რომ გმირულად იქცევიან ჩვეულებრივი ადამიანები, ხოლო გმირობა არაჩვეულებრივია...

ადამიანთა უმეტესობა დამნაშავეა უმოქმედობის გამო!..“



ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შეუმჩნეველი არ იყო, ყველამ კარგად იცოდა, რა ხდებოდა საქართველოს ციხეებსა თუ მის გარეთ, შინაურმაც და გარეულმაც, ადამიანის უფლებების ამყრელებმაც და ადამიანის უფლებების დამცველებმაც...

არაადამიანური მოპყრობა აბუ-გრეიბში სამი თვის მანძილზე გრძელდებოდა. ვინ ადევნებდა თვალ-ყურს? — არავინ და ეჭვია, რომ ეს განზრახ ხდებოდა. პირიქით, მცველებს სრული თავისუფლება მისცეს, რომ ეკეთებინათ, რაც სურდათ და მათ იცოდნენ, რომ არავინ არასდროს ჩავიდოდა ამ დილეგში...

არაადამიანური მოპყრობა სააკაშვილის ციხეებში წლების მანძილზე გრძელდებოდა. ვინ ადევნებდა თვალ-ყურს? — ყველა, და არავინ იღებდა ხმას, რითიც სისტემის მცველებს სრული თავისუფლება მისცეს, რომ ეკეთებინათ, რაც სურდათ და მათ იცოდნენ, რომ არავინ არასდროს მოსთხოვდა პასუხს...

„სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი“ რიგითმა ექსპერიმენტატორმა ქალმა შეაჩერა, როცა დაინახა, რა საშინელ ზღვართან მივიდა (ექსპერიმენტის ხელმძღვანელებიც და მონაწილეებიც ჩათრეულები აღმოჩნდნენ ექსპერიმენტში) ადამიანებით თამაში; აბუ-გრეიბში რიგითმა ჯო დარბიმ შეაჩერა ის კოშმარი; საქართველოში გლდანის №8 საპყრობილის თანამშრომელმა ვლადიმერ ბედუკაძემ ამხილა სისტემა. რომელიმე გმირია?

საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში 250 000-მა ადამიანმა გაიარა სასჯელაღსრულების დაწესებულებები, 70 000-თან აქვთ გაფორმებული საპროცესო გარიგება, 30 000 ადამიანს ადმინისტრაციული სასჯელი მიუსაჯეს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, 600-ზე მეტი პატიმარი დაიღუპა საპატიმროებში, 300-ზე მეტი ადამიანი ქუჩაში ჩაცხრილეს. ცალკე საკითხია ცოცხლად დარჩენილთა ფსიქიკური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ გმირობა ბანალურია, გმირობა ყველას არ შეუძლია. თუმცა, რომელ გმირობაზეა საუბარი, როცა ხალხის წინაშე პასუხისმგებელ ადამიანთა გუნდი, სახელად „ხელისუფლება“ უმოქმედოდაა და არხეინად განაგრძობს თანაცხოვრებას დანაშაულებრივი სისტემის იდეოლოგებთან, შემქმნელებთან და დანაშაულებრივი ბრძანებების უშუალო გამცემებთან...

იძულებით კოჰაბიტირებულო ხელისუფლებავ, უმოქმედობის გამო, შესაძლოა, იქით თქვენ დაგდონ ბრალი სწორედ მათ, ვინც დამნაშავე სისტემის შემქმნელებთან კოჰაბიტაცია გაიძულათ!

უახლოეს წარსულში საქართველომ საკუთარ თავზე უკვე გადაიტანა აბუ-გრეიბი. საქართველოს ნებისმიერო ხელისუფალო, ფრთხილად, საქართველოს გონიერი მოქალაქეების გარდა, ყველა ცუდად გიმზერთ!

**ნინო დაუშვილი**

# უკრაინა – სადგისი რუსეთისა და ევროპისთვის

## „მაიდანი“ ომის რეპეტიცია გახლდათ, რომელიც ამერიკელებმა მოაწყვეს



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:*

**— ბატონო იგორ, ინტერვიუს ჩაწერამდე, ახსენეთ, რომ უკრაინისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე ზამთრის მოახლოებაცაა. რას გულისხმობდით?**

— მოდი, ასე დავიწყოთ: რუსეთ-უკრაინის ომი უკვე რამდენიმე წელია, მზადდება. პირდაპირ ვამბობ: 2014 წელს კიევის მოვლენები, რაც „მაიდანის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ამ ომის რეპეტიცია გახლდათ და ეს ამერიკელების მოწყობილი იყო. „მაიდანი“ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული ომის მოთელვა, მოსინჯვა გახლდათ. გავიხსენოთ, 2014 წელს კიევ-



ში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, რომელმაც „მაიდანზე“ განვითარებულ პროცესებში მონაწილეობა მიიღო. მეტიც, როგორც ამერიკელი მოქალაქე, ხალხისთვის მოედანზე ფუნთუშებს არიგებდა. ასეთი რამ არც ომებს და არც პოლიტიკურ ისტორიას არ ახსოვს. აი, რა დონეზე იყო ამერიკა მომზადებული, რათა ეს პროცესი დაწყებულიყო. ანუ, აშშ-მ ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო მზადება იმისთვის, რომ უკრაინა რუსულ საჯდომში სადგისად ქცეულიყო, რასაც წინ უსწრებდა ამერიკის დაზვერვის სამსახურების მუშაობა ამ მიმართულებით. ასევე, რუსეთის სპეცსამსახურების მუშაობაც. აქ საიდუმლო არაფერი აღარ არის. ჩერჩილთან ამერიკის წარმომადგენელი მიღებაზე მივიდა. უინსტონი ამ დროს აბაზანას იღებდა და სტუმართან პირდაპირ შიშველი გამოვიდა. ამერიკელი შეცბუნდა. ჩერჩილმა უთხრა: ბრიტანეთს დასამალი არაფერი აქვსო. აი, ეს პროცესია ახლა დაწყებული. „მაიდნის“ მერე გარკვეული ეტაპები იყო. მას შემდეგ რვა წელი გავიდა და **სახეზეა „რეპეტიციის“ შედეგი — რუსეთ-უკრაინის ომი. თუმცა, ეს მხოლოდ აშშ-ის მიერ მომზადებული გეგმა არ არის. რუსეთ-უკრაინის ომი აშშ-ისთვის უფრო მასშტაბური, რეზონანსულია. ეს გახლავთ, აგრეთვე, სადგისი ევროპის საჯდომშიც,** რაც ევროპულმა სახელმწიფოებმა მშვენივრად იგრძნეს. ამერიკა უკრაინის პოლიტიკური და ეკონომიკური დაუფლების მიღწევის შემთხვევაში, თითს ევროპასაც — გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ესპანეთსაც დაუქნევს. განსაკუთრებით კი, გერმანიას. ნახეთ, რა ხდება: მერკელი, რომელიც ზომიერი, ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო, ამ მოვლენებს გაერიდა. მის ადგილას მოვიდა შოლცი, რომელმაც პოლიტიკაში ახალი გადატრიალება მოახდინა — მან საგარეო პოლიტიკა მთლიანად შეცვალა. აშშ-მ დაიწყო თამაში, რათა რუსეთისთვის ბურთი გაეტანა. ამ საქმეში საქართველოს ვერ გამოიყენებდა, რადგან ეს საკმარისი არ იქნებოდა, მით უმეტეს, ვერ გამოიყენებდა ვერც აზერბაიჯანს, ვერც სომხეთს, ვერც ჩრდილოეთ კავკასიას. შედეგად, დაიწყო უკრაინის გამოყენება, რადგან იქ ამის ისტორიული საფუძვლები არსებობდა. კერძოდ, დასავლეთი უკრაინა და აღმოსავლეთი უკრაინა, ტრადიციულად, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. უკრაინის ტერიტორიის ნაწილი ევროპის სხვა სახელმწიფოებს ეკუთვნის. ამიტომ ევროპის სახელმწიფოებს ამ ქვეყნის მიმართ პრეტენზიები აქვთ. თორემ, თავად უკრაინას არავის მიმართ პრეტენზია არ აქვს და ვერც ექნება — უკრაინა, როგორც სახელმწიფო, რომელიც ამ მიწებს ფლობდა, არ არსებობდა. აღნიშნული გეგმა, რითაც საუბარი დავიწყე, ტრამპის დროსაც არსებობდა, თუმცა პრაქტიკული განხორციელება ბაიდენმა დაიწყო. ამ გეგმის განუხორციელების შემთხვევაში აშშ-ს, ალბათ, სხვა პროექტიც ექნებოდა მომზადებული. ასე რომ, ეს ერთი მხრივ რუსეთისთვის, მეორე მხრივ კი ევროპისთვის თითის დაქნევაა. რეალურად განხორციელდა ის, რაც ამერიკას ჩაფიქრებული ჰქონდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის გეგმაში ომის ასე გახანგრძლივება არ შედის. რუსეთ-უკრაინის ომი მაქსიმუმ 2-3 თვე უნდა გაგრძელებულიყო, ეს საკმარისი დრო იქნებოდა, რათა ამერიკას თავის ძველი სამხედრო ტექნიკა გაეცა, გაეყიდა.

**— მაშინ რამ განაპირობა ომის ასე გახანგრძლივება?**

— თქვენს კითხვას გავიმეორებ: რატომ გაგრძელდა ეს ომი? — არც ამერიკა და არც რუსეთი ომის ასე გახანგრძლივებას არ ვარაუდობდნენ. ანუ, ეგონათ, რომ რუსეთი ეკონომიკურ ზეწოლას ვერ გაუძლებდა, მაგრამ სანქციებმა ვერ იმუშავა. რუსეთის ეკონომიკურ ქვაბში მოხარშვა ვერ მოხერხდა. ომი მომავალ წელსაც გაგრძელდება. მეტიც, ეს პროცესი არც მოლაპარაკების მაგიდასთან გადაინაცვლებს. იმიტომ, რომ რუსეთისთვის ახლა ზამთარი მაშველი რგოლია. გავიხსენოთ, როცა გერმანელები მოსკოვს მიუახლოვდნენ, სამ თვეში გამარჯვება უნდა ეზეიმათ, თუმცა ნაადრევმა ზამთარმა რუსეთს გადამწყვეტი ბრძოლა მოაგებინა. ასე რომ, ერთი მხრივ, რუსები ტექნიკით არიან შეიარაღებულნი, მეორე მხრივ — ზამთრით. აი, ასეთი ვითარებაა.

ამერიკაში უკვე დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როდის უნდა დამთავრდეს ომი. გახანგრძლივებული ომი არც ევროპას აწყობს. ამიტომ ევროპასა და ამერიკას შორის, სპეცსამსახურების დონეზე, სერიოზული დიპლომატიური საუბრები მიმდინარეობს — ომის გაგრძელება აღარ შეიძლება. **ომის გაგრძელება ევროპის დაკარგვას გამოიწვევს. დიახ, ამერიკელებმა შეიძლება ევროპა დაკარგონ**. ამ საკითხზე თურქეთში რუსეთისა და ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლები შეხვდნენ. ცნობილია, რომ საუბარი სწორედ ომის დამთავრების თემას უკავშირდებოდა. დიახ, ამერიკას და ევროპას აქვთ განწყობა, რომ ომი უნდა დამთავრდეს. თუმცა, არსებობენ სხვა მოთამაშეებიც, რომლებიც ერთს ამბობენ და მეორეს გულისხმობენ. მაგალითად, როცა საფრანგეთის პრეზიდენტი ამბობს, რომ ომი დიპლომატიის საშუალებით არ უნდა გადაწყდეს, სინამდვილეში, პირიქით, ომის დასრულებას სწორედ ამ გზით გულისხმობს. რიგი სახელმწიფოებისთვის ომის გაგრძელება მისაღებია, რადგან უკრაინისა და რუსეთისთვის იარაღის მიწოდებით თავად ხელს ითბობენ.



**— ჩვენმა პრემიერმა განაცხადა, რომ საქართველო უკრაინას იარაღით არასდროს დაეხმარება. ამ ნაბიჯს როგორ აფასებთ?**

— ამის ახსნა მარტივია: უკრაინა-რუსეთის არმია 1992 წელს საქართველოში, კერძოდ, ფოთში შემოვიდა. ეს უკრაინის პრეზიდენტის, კრავჩუკისა და რუსეთის წარმომადგენლის გადაწყვეტილება იყო. ეს საინტერესოა. რეალურად, რა მოხდა? — შევარდნაძემ, იმისთვის, რომ ეროვნული ხელისუფლება საბოლოოდ დაემარცხებინა და გაენადგურებინა, კრავჩუკს სთხოვა, საქართველოში ჯარი გამოეგზავნა, რაც ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს მაშინ საქართველოს დიდი თანხა დაუჯდა. დიახ, ეს არა პირდაპირ მეგობრული, არამედ ფინანსებთან დაკავშირებული დახმარება იყო. ჯერ ერთი, ფული იარაღისთვის გადაიხადეს. ამ თანხის მოტანაში ქართველი მოღვაწეები მონაწილეობდნენ. აი, ეს პრეცენდენტი მოხდა. ამ დროს დავკარგეთ აფხაზეთი. 1992 წელს შევარდნაძე აფხაზეთში ლაშქრით, იმ ტანკებით შევიდა, რომელიც რუსეთისგან მივიღეთ და ბევრი მათგანი არც ვარგოდა. პირველი, ჭკუა უნდა ესწავლებინათ აფხაზებისთვის, ავტონომიის საკითხი უნდა შეებოჭათ, მეორე, ჭკუა უნდა ესწავლებინათ გამსახურდიას მომხრეებისთვის და მესამე — სამეგრელოს მოსახლეობისთვის, რომელიც მხარს ზვიადს უჭერდა. **1992 წლის 2 აგვისტოს ომთან დაკავშირებით საიდუმლო შეხვედრა შედგა, 10 აგვისტოს კი გადაწყდა, რომ 14-ში აფხაზეთში შევიდოდნენ. მაშინ ოფიციალურად უკრაინული ჯარის ნაწილი შევიდა აფხაზეთში. სწორედ ისინი არბევდნენ, ხოცავდნენ ხალხს. შედეგად, ბევრი ქართველი იქნა მოკლული. ამის გაგება არ უნდათ.** დიახ, მაშინ რუსებმა და უკრაინელებმა ასობით ადამიანი მოკლეს. აი, რა გააკეთეს იმ დროს უკრაინელებმა! ასე რომ, უკრაინის პირველი პირებისგან ქართველების მიმართ პრეტენზიები ყოვლად მიუღებელია. ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ და დახმარების ხელს ვუწვდით მათ.

**— ამ ფონზე მშვიდობის ქალაქის ინიციატივას როგორ აფასებთ?**

— შემომაქვს ინიციატივა, თბილისს სიყვარულის, მეგობრობის ან თუნდაც, შერიგების ქალაქი ვუწოდოთ.

აქვე მემკვიდრეობის თემაზეც მინდა ორიოდ სიტყვა გითხრათ. მივესალმები, რომ „საერთო გაზეთმა“ ის ტრადიცია და პოლიტიკა გააგრძელა, რაც მის დიდ მამულიშვილს, ვახტანგ ხარჩილავას ჰქონდა. მიხარია, რომ გაზეთმა მემკვიდრეობა დაიცვა. სახელისუფლო მემკვიდრეობის საკითხს რაც შეეხება, საქმე რთულად არის. საბჭოთა პერიოდში მზადდებოდა პროექტები, რომლებიც ევროპისა და ამერიკისგან ჰქონდათ გადმოღებული. არსებობდა ტეილორის სისტემა, თუ როგორ უნდა ემოქმედა სახელმწიფოს იმ მეტად მძიმე პერიოდში. სტალინს რაც შეეხება, მას ჭკუა აღმოაჩნდა და ლენინის გზას არ გაჰყვა. რუსეთში სოციალიზმზე კაპიტალიზმის გარეშე გადავიდნენ. ჩვენ პირიქით, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადავედით. ჩვენთან ყველა ხელისუფალი, ვინც ქვეყნის სათავეში მოდიოდა, წინა ხელისუფლების მემკვიდრეობას უარყოფდა. მაგალითად, შევარდნაძემ უარყო მჟავანაძე. ეს იყო უმადურობის სინდრომი, რაც ქართულ პოლიტიკას ახასიათებდა. შემდეგ სააკაშვილმა უარყო შევარდნაძე. გამსახურდია საერთოდ, დავამხეთ. ზვიადის მთავარი თეზა იყო — არც სოციალიზმი, არც კაპიტალიზმი. ის გარდამავალ პერიოდს ითვალისწინებდა და არავითარ შემთხვევაში ასეთ „პრიხვატიზაციას“, რის შემდეგაც შევარდნაძის ხელისუფლებაში გაჩნდა 500 მილიონერი, რომლებიც საქართველოს დღეს ჰყავს. 100-200 დოლარად უზარმაზარი საწარმოები იყიდებოდა. შევარდნაძის დროს საქართველო დანგრეული, კორუმპირებული იყო. მერე,

საააკაშვილმაც გადაამლაშა. შევარდნაძის, სააკაშვილის მემკვიდრეობა გავაუქმეთ. ასე იქნება, ალბათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მემკვიდრეობის შემთხვევაშიც. როდემდე უნდა ვიწყებდეთ ყველაფერს მუდმივად ნულიდან?!

**— თავად „ნაცმოძრაობაში“ რა ხდება, რისთვის მიდის ბრძოლა?**

— ახლა, რაც ხდება, იმის ბრალია, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკისთვის მზად არ არის. მელიას გადაყენება ასე მარტივად ვერ მოხდება. აქ სულ სხვა რამ ხდება, რაც ფინანსებთან, ძალაუფლების მოპოვებასთან არის დაკავშირებული. დიახ, სამწუხაროდ, ოპოზიცია დაკარგული ძალაუფლების მოპოვებისთვის იბრძვის. ამ 30 წლის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება არის ბრძოლა ცუდსა და უარესს შორის. უარესი გახლავთ — „ნაცმოძრაობა“. რაც შეეხება მმართველ პარტიას, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წიაღში კონსტრუქციული ოპოზიცია წარმოიშვებოდა. მისი პროგნოზი გამართლდა. „ქართული ოცნების“ წიაღში წარმოიშვა წინაალმდეგობა გახარიას სახით. რაც შეეხება „ხალხის ძალას“, ეს ძალიან საინტერესო გუნდია. ის, გარკვეულწილად, დასავლეთის საპირწონეა. დავსვათ კითხვა: ახლა არჩევნები რომ ჩატარდეს, „ხალხის ძალა“ 5%-იან ბარიერს გადალახავს? — დიახ და შეიძლება უფრო მეტი პროცენტიც აიღოს. ეს ის ხალხია, რომელთაც დასავლურ სამყაროსთან გარიგება, მორიგება არ სურთ, არამედ სულ სხვა პლატფორმაზე დგანან — ეს გახლავთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიცია. ჩემი აზრით, „ხალხის ძალა“, ერთი მხრივ, ზვიად გამსახურდიას გზაზე დგას. ზვიადი ამბობდა: არც რუსეთი, არც ევროპა, არც ამერიკა. „ხალხის ძალაც“, ფაქტობრივად, ამ პოზიციაზეა. ეს გუნდი, რომელიც, ალბათ, პარტიად გადაკეთდება, საქართველოში ამერიკის პოლიტიკას ემიჯნება. „ხალხის ძალა“ „ქართულ ოცნებას“ მკვეთრად არ დაშორდება. ეს გუნდი მმართველ ძალასთან ითანამშრომლებს, მაგრამ თავისი პლატფორმა ექნება. სამომავლოდ შეიძლება, „ქართული ოცნება“ ხალხის ძალასთან გაერთიანდეს. ახლა არჩევნები რომ ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ აუცილებლად მოიგებს, რადგან ოპოზიცია სუსტია. ნაცები გამარჯვებისთვის არ არიან მზად არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, არც სოციალურად. ოპოზიციის ნაკლი ისიცაა, რომ მათში პოლიტიკური კულტურის დონე აღარ არის, მათ შორის, არც პარლამენტში. პარლამენტში დეპუტატების გამოსვლას რომ ვუსმენ, ვფიქრობ: ისინი, საერთოდ, კითხულობენ ლიტერატურას, ერკვევიან რამეში?! მათი პოლიტიკური აზროვნება შორს ვერ მიდის. ანუ, „ა“ იციან, მაგრამ „ბ“ — არა. ხალხი ყველაფერს მშვენივრად ხედავს. დღეს მოსახლეობას ვერ მოატყუებ. იგი შეიძლება ერთხელ მოტყუვდეს, მაგრამ ყოველთვის ასე არ იქნება. მოვლენებმა, რაც დღეს „ნაცმოძრაობაშია“ ნათლად იჩინა თავი. არ ვიცი, ეს დადგმული სპექტაკლია თუ არა? — გამორიცხული არაფერია.

**— ბოლოს რას გვეტყვით სააკაშვილის სამკურნალოდ გაშვებასთან დაკავშირებით?**

— დღეს სააკაშვილი ხელისუფლების თავის ტკივილია. მსჯავრდებული მიშა, რომელიც ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება, არაფერს წარმოადგენს. დიახ, მორალურად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად დამარცხებული მიშა აღარაფერს წარმოადგენს. ხომ ხედავთ, რა განცხადებებს აკეთებენ მოსყიდული ლობისტები. ეს ქართული პოლიტიკის წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამს. დეგნანი ამერიკაა, რომლის გარეშე ის ნაბიჯსაც არ დგამს. რაც შეეხება პუტინს, მას მიშასთვის არც ადრე ეცალა, არც ახლა სცალია და არც არაფერში სჭირდება მისთვის მოცლა. ადრე ამბობდნენ: **მიშა პუტინის პროექტია, მან ჩამოიყვანაო. ეს ტყუილია. სად სცალია რუსეთს მიშასთვის. პუტინს სააკაშვილის მოცილება რომ უნდოდეს, როგორ ფიქრობთ, გაუჭირდებოდა? — ჩიტი ბრდღვნად არ ღირს. ბელურებს ზარბაზნებს არ ესვრიან!** „ნაცმოძრაობის“ გუნდი ან მთლიანად დაიშლება, ან გაძლიერდება. შიდა ბრძოლები რა შედეგს მოიტანს? — ეს რაღაც სხვაზეა გათვლილი. ეს ხომ განხეთქილებას წარმოშობს. სოციალ-დემოკრატების შემთხვევაშიც ასე იყო. ეს პარტია ორ ნაწილად გაიხლიჩა — ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ვინ გაიმარჯვა? — სოციალ-დემოკრატები ანუ, მენშევიკები უფრო მეტი იყვნენ, მაგრამ ისინი დამარცხდნენ და ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ. ეს ანალოგი დღევანდელი რეალობისთვის არ გამოდგება. ვფიქრობ, ეს ვითარება გარე პოლიტიკური ძალებისგან იმართება — კერძოდ, დასავლეთისგან. პროცესები სწორედ ასე რომ მიდის, ამაში მათი ხელი ურევია. თორემ, აბა, პიროვნულად, რა მნიშვნელობა აქვს — მელია სჯობს თუ ხაბეიშვილი? მთავარია, საქართველოში სწორი პოლიტიკა გატარდეს. საქმე ისაა, რომ ჩვენ შემდგარი სახელმწიფო არ ვართ. ბუშმა, საუბედუროდ, სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მართლა ასეა. საქართველო დემოკრატიის შუქურა არ ყოფილა. ჩვენ თუ გვინდა, მხოლოდ დემოკრატიის შუქურა ვიყოთ, ეს დიდი პასუხისმგებლობაა. იმიტომ, რომ ჯერ დემოკრატია კი არ არის ქვეყნისთვის მთავარი, არამედ ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკური კულტურის განვითარება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მხოლოდ ამის მერე დემოკრატიის განვითარება. დემოკრატია კი არ ბადებს ეკონომიკას, სოციალურ მდგომარეობას, არამედ პირიქით. ანუ, საშინაო პოლიტიკა განმსაზღვრელი უნდა იყოს. **დიახ, სწორედ საშინაო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბედი და არა საგარეომ. საქართველო პატარაა, რატომ გვინდა მაინცდამაინც რომელიმე ქვეყანას მივებათ, ჩვენი მფარველი იყოს?!** აი, ეს არის უბედურება. ასე არ უნდა მოვიქცეთ — ვიღაცასთან მიბმა კარგს არაფერს მოგვიტანს. დემოკრატია ვარიანტულია. სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატია ერთმანეთისგან განსხვავდება. დემოკრატია მიზნის მიღწევის საშუალებაა, რაც აქ არ ესმით. იგივე ნატო ჩვენი მიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება. მიზანს და მიზნის მიღწევის საშუალებას ჩვენი პოლიტიკოსები ვერ არჩევენ და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გამოდიან, ესაა უბედურება. **კავკასიაში ანტირუსულმა განწყობამ შეიძლება ახალი უკრაინის მოვლენები მოიტანოს.** ეს გამორიცხული სულაც არ არის. ყველამ ხომ კარგად ვიცით, ვაშინგტონის მიერ გასტუმრებული ურჩი ხელისუფლებების შესახებ. გამსახურდია ამერიკამ და რუსეთმა ჩამოიშორეს. ასევე, შევარდნაძეც და სააკაშვილიც. სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ ჩამოშორებაც მათი ხელით მოხდება.

**ბოლოს მინდა ასე დავამთავროთ: საქართველოსთვის — ეროვნული, შემდგარი სახელმწიფოსთვის ბრძოლა მთავარი ამოცანაა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავფიქრდეთ, რა გვინდა — საქართველო უნდა იყოს ვასალი სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი ქვეყანა? სახელმწიფოებს შორის არსებობს ინტერესები, ინტერესები და ინტერესები და არავითარი მეგობრობა. უკრაინაც და საქართველოც სწორედ ამ ინტერესებს ეწირებიან. ამიტომ პატარა სახელმწიფოები ჭკუით უნდა იყვნენ. ჩვენი ქვეყანა თუ ერთ მუშტად არ შეიკრება, დაიშლება, ჩვენს მტრებსაც სწორედ ეს უნდათ. ამ ინტერვიუსაც შემდეგი შეძახილით დავამთავრებ: ჭკუით, ქართველებო!**

თამარ შველიძე
555 23 28 24





# როდის შედგება ქართული ნიურნბერგის პროცესი?!

3 გვ.

**საპარლამენტო დონეზე, „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის შეფასება, დაგმობა და შესაბამისი ზომების მიღება, რათა ეს პარტია პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორებოდა. იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილს უვადო პატიმრობა მიესაჯოს,** სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული, თან ბედავს და სამკურნალოდ საზღვარგარეთ გამგზავრებას ითხოვს! მსოფლიოში უამრავი მაგალითია, როგორ ასამართლებდნენ რეჟიმებს. ნიურნბერგის პროცესიც ხომ ამის ნათელი გამოხატულებაა. გერმანიას ფაშიზმი რომ არ გაესამართლებინა, დღეს რა დღეში იქნებოდა ეს ქვეყანა? საერთოდ, იარსებებდა როგორც ქვეყანა? ჩვენ რას ვაკეთებთ ამის პარალელურად — ლგბტ-ის უფლებებს ვლობირებთ. აი, ეს გადმოვიღეთ დასავლეთიდან. ასე რომ, ერთი ნიურნბერგის პროცესი აქაც გვჭირდება.

**— „ნაცმოძრაობის“ ამჟამინდელ მდგომარეობაზე რას იტყვით, სადაც კლანების ბრძოლა მიდის?**

— მერაბიშვილი რუსეთის სერიოზული აგენტი იყო. მთელი კაგებეს აგენტურა, რაც საბჭოთა კავშირში იყო, ვანოს ჰყავდა გადმობირებული. ეს აგენტურა ჰყავდა მას ცალკე პოლიტიკური ძალის, ცალკე მედიასაშუალებების თუ სხვა სახით. ეს გახლავთ ვანო მერაბიშვილი. რეალურად, თავმჯდომარეობისთვის ვანო იბრძვის და არა ხაბეიშვილი. **„ნაცმოძრაობა,“ როგორც პარტია, უკვე დაშლილია. რაც შეეხება კეზერაშვილს, მას პარტია თავშესაფრად, ე.წ. კრიშად სჭირდება. კეზერაშვილისთვის მნიშვნელობა არ აქვს, პარტია დაშლილია თუ დაშლილებში ჩასაბარებლადაა გამზადებული, პოლიტიკური პარტიის იმიჯი ხომ აქვს. დიახ, „ნაცმოძრაობა“ იმიჯისთვის სჭირდებათ, როგორც კრიშა და ამიტომაც დებენ ეს კრიმინალები ამ პარტიაში ფულს. სააკაშვილსაც, კეზერაშვილსაც და მერაბიშვილსაც ეს პარტია საკუთარი უსაფრთხოებისთვის სჭირდებათ. მათ შორის, მელიასაც, რომელმაც პარლამენტის შტურმი სცადა, აწყობს, პარტიის სახით ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდეს, როგორც ხაზარაძე-ჯაფარიძეს. სამწუხარად, დღეს ქართული პოლიტიკა კრიმინალების თავშესაფრად გადაიქცა. დიახ, „ნაცმოძრაობა“ კრიმინალების იმუნიტეტია, რათა სამართალმა ვერ გაბედოს, მათ ჩადენილი დანაშაულებებისთვის პასუხი მოსთხოვოს.**

**— რას იტყვით იმ აჟიოტაჟზე, რაც თბილისის მშვიდობის ქალაქად გამოცხადებას მოჰყვა?**

— ერთი რამ ფაქტია — უსამშობლოებმა როგორც უნდა დამალონ თავიანთი მერკანტილური ზრახვები, ძალაუფლებისადმი არაადეკვატური ლტოლვა მაინც აშკარაა. აბა, სხვა რით აიხსნება ის, რომ, როდესაც საქართველოს მიერ წარმოებულ ომს გმირი მამულიშვილები ეწირებიან, შენ აქ ცეკვა-თამაშს მართავ, ხოლო როცა ჩვენი მეომრები სხვა ქვეყნის დაცვისთვის იღუპებიან, საქართველოს თალხებში შემოსვას მოითხოვ! თქვენ გგონიათ, ნაცებს და მის სატელიტებს საქართველოს ან უკრაინის ტერიტორიების დაკარგვა აღელვებთ? — არა, ბატონებო, მათ რუსეთ-უკრაინის ომის გამოყენება სურთ, რათა ჩვენი ხელისუფლება დაამხონ. აქ მეორე ფრონტის გახსნაც სწორედ იმიტომ უნდოდათ, რომ ქართული სახელმწიფო ჩამოშლილიყო.

**— მართლაც საოცარია — ევროპისკენ სვლა კონსტიტუციაში გვიწერია, ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, ვიზა-ლიბერალიზაციის კანონი მივიღეთ და მაინც ხელისუფლებას ადანაშაულებენ: რუსეთისკენ მიგყავს ქვეყანაო.**

— რუსეთი არის ბუა. ის რომ არ იყოს, არ ვიცი, ნაცებს რა ეშველებოდათ, რაზე ააგებდნენ თავიანთ პოლიტიკას. ახლა აღელვებთ დაკარგული მიწები?! განა, უომრად არ აძლევდნენ აზერბაიჯანს დავით გარეჯს?! ამ უბედურებების ჩამდენი დგას და მოსთქვამს: საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამიშვითო. უცხოეთში კი არა, მოჰკიდონ ხელი და სადაც საჭიროა, იქ გადაიყვანონ — ციხეში, სადაც წესით, სასჯელს უნდა იხდიდეს. რაზე ვლაპარაკობთ, როცა პრეზიდენტი კაცი თავის ქვეყანაში არაჟნის კონტეინერებთან ერთად შემოიპარა. ექს-პრეზიდენტმა სააკაშვილმა თანამდებობის გამო — უკრაინაში ჩინოვნიკი რომ გამხდარიყო, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა. მსოფლიოში ამის ანალოგი არ არსებობს. სულ რომ ჩამოეხრჩოთ, განა მოქალაქეობაზე უარი უნდა ეთქვა?! ახლა იმ ქვეყნის ასარევად, დასამხობად დაბრუნდა, რომლის მოქალაქეობაზეც უარი თქვა. ამაზე მეტი უზნეობა რაღა უნდა იყოს, მითხარით.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩრდილოეთი კორეა უკვე 16 წელია, საერთაშორისო სანქციების ქვეშ ცხოვრობს: იმპორტსა და ექსპორტზე უმკაცრესი სანქციები ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების გამოცდის გამო დაუწესეს. მათ სასურველი შედეგები არ მოუტანია და პოლიტიკურ რეჟიმს კი არა, მოსახლეობას მიაყენეს დარტყმა. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ფხენიანი განაგრძობს შეიარაღების სრულყოფას და წელს კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტაც კი გამოსცადა.

როგორ ახერხებს კსდრ სანქციებთან გამკლავებას და რატომ ვერ აიძულეს კორეელები, ბირთვულ იარაღზე უარი ეთქვათ.

2006 წლის 9 ოქტომბრის დილას ჩრდილოეთი კორეის პუნგერის პოლიგონზე ძლიერი აფეთქება მოხდა. ლიბან-ისრაელის ომისა და ახლო აღმოსავლეთში არსებული კრიზისისკენ მიმართული მსოფლიო საზოგადოების ყურადღება აზიაზე გადაერთო. მალე ჩრდილოეთი კორეის ცენტრალურმა სატელეგრაფო სააგენტომ სიამაყით განაცხადა ბირთვული იარაღის პირველი გამოცდის შესახებ.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა კორეელების აღტაცებას არ იზიარებდა. იარაღის გამოცდიდან რამდენიმე საათის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოში აშშ-მ შეიტანა წინადადებები ჩრდილოეთი კორეისთვის სანქციების დაწესების შესახებ. გაეროში კსდრ-ის წარმომადგენელმა პაკ კილ იონმა კოლეგებს მოუწოდა, გაეზიარებინათ კორეელი ხალხის მიღწევები. გაერომ ჩრდილოეთი კორეა უფრო მეტად მოაქცია იზოლაციაში. თუმცა, სანქციებს სასურველი შედეგი არ მოუტანია: ბირთვული მუხტების გამოცდის შემდეგ კორეელებმა ქობინების შორ მანძილზე გადამტანი რაკეტები გამოსცადეს.



# სანქციების მსოფლიო ისტორია

## როგორ უმკლავდება ჩრდილოეთი კორეა დასავლეთის მიერ გამოცხადებულ ბლოკადას

### გაეროს სამიზნეში

ჩრდილოეთი კორეა რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა ბირთვული ბომბის შექმნაზე. როცა კორეის ომის მსვლელობისას კორეელებმა შეიტყვეს, რომ აშშ ფხენიანზე ბირთვული ბომბების ჩამოგდებას აპირებდა, კიმ ირ სენმა გადაწყვიტა, საკუთარი



ბირთვული პროგრამის განვითარებაზე ეზრუნა, რაც ქვეყანას ხიროსიმასა და ნაგასაკის ბედს აარიდებდა, ჩრდილოეთი კორეის რადიოაქტიური ნივთიერებების მარაგი ხომ მნიშვნელოვანი იყო — ქვეყანა, პრაქტიკულად, ურანის მადანზე „იჯდა“.

„ბირთვული კლუბისკენ“ მიმავალი გზა ხანგრძლივი და რთული აღმოჩნდა. სამწლიანი ომის გამო დასუსტებულ ახალგაზრდა ქვეყანას უნდა შეექმნა ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები, რაც დამოკიდებული იყო მშვიდობიანი ატომის განვითარებაზე. 1956 წელს ჩრდილოეთმა კორეამ სსრკ-სთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ბირთვული ენერგეტიკის განვითარების სფეროში.

მიუხედავად ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან მიერთებისა, 1980-იანი წლების დასაწყისში კსდრ-ში სამხედრო ბირთვული პროგრამის განვითარება დაიწყეს. დასავლეთის დაზვერვის ცნობებით, 1989 წელს ჩრდილოეთ კორეაში ააშენეს ბირთვული საწვავის გადამამუშავებელი ქარხანა და გამოსაცდელი პოლიგონი, 1990-იანების შუაწლებში კი ქვეყანამ ბირთვული იარაღის წარმოება დაიწყო.

ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების შიში ჩრდილოეთი კორეის ბირთვულ ობიექტებზე ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტების ვიზიტმაც დაადასტურა. აღმოჩნდა, რომ ჩრდილოეთ კორეამ სააგენტოს სპეციალისტებს პლუტონიუმის ნაწილი დაუმალა, რათა მოგვიანებით სამხედრო საჭიროებისთვის გამოეყენებინა. ეჭვების დადასტურების მიზნით, ექსპერტებმა მოითხოვეს სპეციალური ინსპექციის ჩატარება, რაზეც კატეგორიული უარი უთხრეს და დაემუქრნენ, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამოვიდოდნენ.

კრიზისის დარეგულირება ვერ მოხერხდა და 2003 წელს ჩრდილოეთ კორეამ მუქარა შეასრულა, 2006 წელს კი ბირთვული მუხტის პირველი გამოცდა ჩაატარა, რამაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა აღაშფოთა. გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა ჩრდილოეთ კორეისთვის საერთაშორისო სანქციების დაწესებას.

თავიდან სანქციები მიმართული იყო იქითკენ, რომ კსდრ-ისთვის ბირთვული ქობინების შექმნისთვის საჭირო ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოყენების შესაძლებლობა მოესპოთ. 2016-2017 წლებში ქვეყნის წინააღმდეგ შემოიღეს სექტორალური სანქციები ბალისტიკური რაკეტებისა და ბირთვული იარაღის ორი გამოცდის გამო, რომელიც ყველაზე მძლავრი თერმობირთვული მუხტის გამოყენებით განხორციელდა.

გაეროს უშიშროების საბჭომ ჩრდილოეთ კორეას სრული აკრძალვები დაუწესა საავიაციო და სარაკეტო საწვავის, ბუნებრივი თხევადი გაზის, რკინის, ფოლადის, სამრეწველო მოწყობილობების, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტის შეტანაზე; მკაცრად შეიზღუდა ქვეყნისთვის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვა; აიკრძალა ინვესტირება და ერთობლივი საწარმოები; სასარგებლო წიაღისეულით, ლითონებით, სურსათით, ქსოვილებით ვაჭრობა და ა.შ.

სანქციებმა ქვეყანა მოწყვიტეს მსოფლიო საფინანსო სისტემას: იკრძალებოდა ჩრდილოეთი კორეისთვის ნებისმიერი ფინანსური მომსახურება, ქვეყნის ბანკებს ეკრძალებოდათ საზღვარგარეთ ფილიალებისა და განყოფილებების შექმნა, უცხოურ ბანკებს კი — ჩრდილოეთ კორეაში მოღვაწეობა.



ჩრდილოეთ კორეისთვის სანქციების შემოღების ლოგიკა ასეთი იყო: ქვეყანა ჩაკეტილია, ხელისუფლებას რაც უნდა, იმას სჩადის, ხალხის თანხები კი სარაკეტო-ბირთვული შეიარაღების ზრდისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული.

აშშ-მ და მისი მოკავშირეებმა გაეროს სანქციებს საკუთარი სანქციები დაუმატეს, რომლებიც უფრო დამანგრეველი აღმოჩნდა.

ამერიკა ფხიზლად ადევნებს თვალს, როგორ ახერხებს კსდრ იმპორტსა და ექსპორტზე შეზღუდვებისგან თავის დაღწევას და ამკაცრებს სანქციებს უცხოური კომპანიების, ბანკების და ფიზიკური პირების მიმართ — ყინავენ მათ ანგარიშებსა და აქტივებს, კრძალავენ ტრანზაქციებს და აწესებენ სავიზო შეზღუდვები.

ფორმალურად, სანქციები უშუალოდ ბირთვული იარაღისა და სარაკეტო ტექნოლოგიების შექმნასთან არის დაკავშირებული, მაგრამ დასავლეთში მიიჩნევენ, რომ ჩრდილოკორეული რეჟიმი ბირთვულ პოტენციალზე მეტ საფრთხეს შეიცავს. სანქციების პოლიტიკის მიზანი ეკონომიკური კოლაფსი და რეჟიმის დასუსტებაა.

სანქციების შერბილებას ან მათ მოხსნას დასავლეთი მაშინაც კი არ აპირებდა, როცა აშშ-სა და ჩრდ. კორეას შორის დიალოგი შედგა და კსდრ-მ კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტების გამოცდაზე მორატორიუმი შემოიღო. რუსეთმა და ჩინეთმა ორჯერ (2019 და 2021 წ.წ.) შესთავაზეს გაეროს კსდრ-ის მიმართ სანქციების შერბილება ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მით უმეტეს, რომ კორეა მორატორიუმის პირობებს ასრულებდა, მაგრამ მათი წინადადებები უარყვეს. ექსპერტს მტკიცებით, შესაძლოა, მიზანი სულაც ჩრდილოეთი კორეის რეჟიმის შეცვლაა.

### არც თევზი, არც — ქანდაკება

საერთაშორისო სანქციებმა მთავარი დარტყმა რიგით მოქალაქეებს მიაყენეს. ექსპორტზე განხორციელებულმა სანქციებმა ცხოვრება გაურთულეს აგრარული სფეროს წარმომადგენლებს — ქვეყანაში ვერ შეაქვთ სასუქისა და პესტიციდების დასამზადებელი მასალა. მათი უკმარისობა, არამდგრად კლიმატთან ერთად, მოსავლიანობის შემცირებას იწვევს.

მოსახლეობის საჭირო პროდუქტებით უზრუნველყოფისთვის ქვეყანაში საბარათე სისტემა შემოიღეს: გაეროს შეფასებით, ამ გზით მოსახლეობის ნახევარზე მეტის უზრუნველყოფა ხერხდება. გვალვისა და მოსავლიანობის შემთხვევაში, როგორც 2021 წელს, მთავრობა სურსათს საჯარისო რეზევრებიდან გაიღებს.

კსდრ არც საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებებზე ამბობს უარს, მაგრამ სანქციები მათაც ურთულებენ მუშაობას. ფინური ორგანიზაცია **Fida Internacional**-ი, რომელიც 20 წელი მუშაობდა ჩრდილოეთ კორეაში, იძულებული გახდა, სანქციების გამო შეეწყვიტა მოღვაწეობა. ძირითადი სირთულეები საბანკო სისტემაში არსებული შეზღუდვებია: ბანკები, რომლებიც ჰუმანიტარული ორგანიზაციების ანგარიშგებას აწარმოებენ, უფრთხიან ამერიკის მიერ მეორადი სანქციების დაწესებას.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# მსოფლიოში უნდობლობამ დაისადგურა

მაღალი რანგის პოლიტიკოსები ბანალურ შულერებს დაემსგავსნენ. პოლიტოლოგები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფადული სავაჭრო-ფინანსური ომი გამოუცხადა ევროპას, სადაც გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. ეკონომიკური საკითხების გარდა, თურმე პოლიტიკური შეთანხმების შეუსრულებლობაც დასაშვები ყოფილა. სენსაციური განცხადება გააკეთა გასულ კვირას გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა. მან BBC-სთან ინტერვიუში თქვა, რომ მინსკის 2015 წლის შეთანხმებით უკრაინელებს დრო მოაგებინეს ჯარის გადაიარაღებისა და ახალი დიდი ომისთვის მოსამზადებლად. ხელშეკრულების პირობების შესრულებას თურმე იმდროინდელი პრეზიდენტი პოროშენკო არ აპირებდა, რაც თავადვე განაცხადა სამი კვირის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს მინსკში მერკელის გარდა იმყოფებოდნენ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და პოროშენკო. მასპინძელი, ალექსანდრ ლუკაშენკო მოლაპარაკებას, რომელიც თითქმის 17 საათს გაგრძელდა, შორიდან აკვირდებოდა.



მოლაპარაკების მიზეზი უკრაინელი ჯარისკაცების დონეცკის ოლქში, დებალცევოსთან ალყაში მოქცევა გახლდათ. თუმცა პოროშენკო უარყოფდა 10 ათასი ჯარისკაცის ალყაში მოქცევას, მაგრამ მისმა თანაშემწეებმა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა მოლაპარაკების მსვლელობისას აუხსნეს რეალური კატასტროფული ვითარება და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ერთი პუნქტიც კი არ შეუსრულებია. თუმცა მაშინ სიკვდილს გადაარჩინა 10 ათასი ჯარისკაცი. თურმე სწორედ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ იცოდა მერკელმა, მაგრამ დუმდა. ოფიციალურ შეთანხმებაზე მისი ხელმოწერაც არის, მაგრამ... რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ბიშკეკში ევრაზიის სამიტის შემდეგ განაცხადა: „ჩემთვის მოულოდნელი იყო ყოფილი კანცლერის განცხადება, როგორც ირკვევა, თურმე გვატყუებდნენ. საერთაშორისო არენაზე კი ნდობა დაიკარგა.

## ბლეფი პოსტის შესანარჩუნებლად

გერმანიაში აღიკვეთა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა! — ასეთი ინფორმაცია გავრცელდა გასულ კვირას ადგილობრივ და მსოფლიო პრესაში. როგორც იუწყებიან, გერმანელ „ამბოხებულებს“ დაგეგმილი ჰქონდათ კანცლერ ოლაფ შოლცის გატაცება, ბუნდესტაგის შტურმით აღება და მეორე რაიხის, ანუ კაიზერისდროინდელი მონარქიის აღდგენა. „ამბოხებულებს“ „რაიხსბურგერების“ სახელით იცნობენ. მართალია, ეს მოძრაობა ულტრამემარჯვენეობისკენ იხრება, მაგრამ რადიკალებთან არანაირი კავშირი არ აქვთ. მოძრაობა მე-19 ს-ის ბოლოს შეიქმნა, წევრები კი მხოლოდ კაიზერს აღიარებენ ქვეყნის მეთაურად. ბევრს გერმანული პასპორტიც კი არ გააჩნია, არ აღიარებენ არანაირ ხელისუფლებას. მოძრაობას ძალიან ცოტა მიმდევარი ჰყავს, სულ 21 ათასი წევრი. სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით, რაც უმძიმეს დანაშაულად მიიჩნევა, გერმანიაში უკვე 25 ადამიანი დააკავეს.

ბრალდებულების დაკავებაში მონაწილეობდა ძალოვანი სტრუქტურების 3 ათასი წარმომადგენელი, მათ შორის, დაზვერვის და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები. ძალოვანების ინფორმაციით, ამბოხებას 71 წლის არისტოკრატიული წარმომავლობის ჰენრიხ XIII რეისი ხელმძღვანელობდა. მის სასახლეში ჩატარებული ჩხრეკა უშედეგო აღმოჩნდა — ვერაფერი იპოვეს, რაც მას დანაშაულში ამხელდა. გამოძიება გრძელდება.

ექსპერტ-პოლიტოლოგების ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. მათი შეფასებით, „რეიხსბურგერელებს“ არ შესწევთ ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის ძალა. მათვე მიაჩნიათ, რომ შოლცი ცდილობს, ასეთი მყვირალა ინფორმაციით გადაფაროს მთავრობის წარუმატებლობები — ქვეყნის ეკონომიკა დაღმასვლას განიცდის, ენერგეტიკული კრიზისი ღრმავდება. ყატარში შოლცის ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა. თუმცა ყატარელები დათანხმდნენ, რომ 2026 წლიდან მიაწვდიან 3 მლნ კუბ/მ დაწნეხილ გაზს, რაც გერმანიის მიერ მოხმარებული გაზის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს.. გერმანიაში მოიმატა დანაშაულთა რიცხვმა, რასაც ძირითადად მიგრანტები სჩადიან. მოკლედ, შოლცისთვის აუცილებელი გახდა მოსახლეობის ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა. ამ ფონზე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ინდოეთში. იგი მასპინძლებს მოუწოდებდა, უარი ეთქვათ რუსეთისგან ნავთობისა და გაზის შეძენაზე. მას მკაცრად, მაგრამ დელიკატურად უარით უპასუხეს.



## ჩინელების სტუმრობა არ ყოფილა ხუმრობა

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო ჩინეთის მმართველის სი ძინპინის ვიზიტი საუდის არაბეთში, რომელსაც განსაკუთრებით აშშ-ში აკვირდებოდნენ. სი ძინპინი მასპინძლების გარდა სხვა არაბული ქვეყნების ლიდერებსაც შეხვდა. ფაქტობრივად, ჩინეთისა და არაბული ქვეყნების სამიტი გაიმართა. სამ დღეში ჩინეთმა არაბულ ქვეყნებთან სარფიანი მრავალმილიარდიანი კონტრაქტები გააფორმა. „...ჩინეთი გაზრდის ნავთობისა და გაზის იმპორტს არაბული ქვეყნებიდან“, — განაცხადა სი ძინპინმა. ვაშინტგონში აშკარად გაღიზიანდნენ სი ძინპინის არაბეთში წარმატებული ვიზიტის გამო. თეთრი სახლი ჩინეთისთვის სანქციების დაწესებას გეგმავს, პენტაგონი კი აშკარად დაემუქრა ამ აზიურ ქვეყანას.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა შეადარეს, როგორ ცივად დახვდნენ პრეზიდენტ ჯო ბაიდენს ზაფხულში ვიზიტისას და როგორ პომპეზურად უმასპინძლეს ჩინეთის მმართველს. პოლიტოლოგების შეფასებით, არაბულმა ქვეყნებმა, რომლებიც აშშ-ის მოკავშირეებად მიიჩნეოდნენ, მას ზურგი შეაქციეს. ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ არაბეთში შეთანხმდნენ, სავაჭრო ანგარიშსწორება იუანებში აწარმოონ. მართალია, ჯერ კიდევ ბრუნვაში დატოვებენ ამერიკულ დოლარს, მაგრამ ეს უკვე მნიშვნელოვანი დარტყმაა ამერიკის ფინანსურ სისტემაზე.

## „ჩენჯი“ რუსულ-ამერიკულად

პატიმრების გაცვლა ქვეყნებს შორის ხშირად არ ხდება, რაც სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული. თუმცა დიპლომატები მცდელობას არ აკლებენ, რათა თავიანთ ქვეყანაში დააბრუნონ მათთვის მნიშვნელოვანი პერსონა. უპირატესობა, ძირითადად, მზვერავებს ენიჭებათ. გასულ კვირას აშშ-მ და რუსეთმა პატიმრები გაცვალეს. აშშ-ის ციხიდან გაათავისუფლეს და რუსეთის მხარეს გადასცეს ვიქტორ ბუტი. ოფიციალურად იგი ბიზნესმენია, მაგრამ 2008 წელს ტაივანში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნით დააკავეს იარაღით არალეგალურად ვაჭრობის ბრალდებით. მოგვიანებით იგი ტაივანიდან აშშ-ში გადაიყვანეს, სადაც გაასამართლეს და 25 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მართალია, ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ მოსამართლემ მაინც იარაღით უკანონო ვაჭრობის მცდელობის მუხლით გამოიტანა განაჩენი. ბუტი ბრალდებას დღემდე არ აღიარებს.

რუსეთის მხარემ აშშ-ს გადასცა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში, ბრიტნი გრაინერი, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ კლუბში თამაშობდა. თებერვალში იგი მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში დააკავეს ნარკოტიკების კონტრაბანდისთვის. აშშ-იდან იგი შვებულების შემდეგ გუნდში ბრუნდებოდა. შემოწმებისას მას დიდი რაოდენობით მარიხუანას ზეთი აღმოაჩნდა. ნივთიერება აშშ-ში დაშვებულია, რუსეთში კი აკრძალული. გრაინერმა ბრალი აღიარა და ბოდიშიც მოიხადა: „არ ვიცოდი, თუ აკრძალული იყო“, — განაცხადა მან, მაგრამ მაინც 9 წლით განამწესეს ციხეში.

ერთი შეხედვით, ორივე ქვეყანამ გამოიჩინა გულმოწყალება და პატიმრები სამშობლოში დააბრუნა. გაცვლის შემდეგ აშშ-ში სკანდალი აგორდა. რესპუბლიკელებმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ჯო ბაიდენი შეუსაბამო გაცვლის გამო. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთში შპიონაჟის ბრალდებით სასჯელს იხდის ყოფილი საზღვაო ქვეითი, ვინმე პოლ უილანი. სწორედ მის გაცვლას ითხოვდნენ რესპუბლიკელები. თუმცა ბაიდენის ადმინისტრაციამ უილანის ნაცვლად გრაინერის გადაცემა მოითხოვა. როგორც ირკვევა, უილანი რესპუბლიკელების მხარდამჭერია, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა დონალდ ტრამპს მისცა, ამიტომაც მას სპორტსმენი არჩიეს. „...ეს გაცვლა კი არა რუსეთის წინაშე კაპიტულაციაა, რაც ჩვენი ქვეყნის სიძლიერეზე არ მეტყველებს“, — განაცხადა პრეზიდენტ ტრამპის ყოფილმა თანაშემწემ უშიშროების საკითხებში ჯონ ბოლტონმა. ჟურნალისტებმა ჯო ბაიდენს კითხვა დაუსვეს, რატომ გაცვალეს გრაინერი და არა უილანი, მაგრამ პრეზიდენტმა, ტრადიციულად, შეკითხვას არ უპასუხა. სამაგიეროდ, კითხვას ბაიდენის პრესმდივანმა გულახდილად უპასუხა: „იგი (გრაინერი — გ. ბ.) გაცილებით მეტია, ვიდრე ოლიმპიური ჩემპიონი, ვიდრე სპორტსმენი — იგი შავკანიანი და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია“. პოლიტოლოგების შეფასებით, რესპუბლიკელებს კიდევ ერთი მიზეზი აქვთ ბაიდენისთვის იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად, რადგან პროფესიონალზე წინ პრეზიდენტმა შავკანიანი სექსუმცირესობის წარმომადგენელი დააყენა.





## სენსაციები, სენსაციები...

მოგვიანებით ჯონ ბოლტონმა კიდევ ერთი, უკვე სენსაციური განცხადება გააკეთა — იგი 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს.

აშშ-ის ახალი ბიუჯეტის პროექტში სამხედრო ხარჯები არნახულად გაიზარდა და 858 მილიარდი იქნება. აქედან 10 მილიარდი ტაივანის დახმარებისთვის არის გათვალისწინებული, 800 მილიონი უკრაინისთვის, 6 მილიარდი — რუსეთის შესაკავებლად.

ევროპარლამენტში სკანდალი აგორდა. ბელგიის პოლიციამ რამდენიმე ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსანი კორუფციაში, უფრო ზუსტად, ქრთამის აღებაში დაადანაშაულა.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა ამერიკელებმა ჩაშალეს

## „ნაცების“ მთავარი დამფინანსებელი კრემლში იმალება?!



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა შუბითიძე:*

**— ბატონო ვაჟა, „ნაცმოძრაობა“ ვადამდელი არჩევნებისთვის ემზადება. რა მოლოდინები გაქვთ?**

— რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო მთლიანად შეცვალა, ბევრი გეგმა, რაც მანამდე ვიღაცებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გააჩნდათ, თავდაყირა დააყენა. მათ შორის, „ნაცმოძრაობასთან“ მიმართებაშიც. სააკაშვილისა და გვარამიას ციხეში ჩასმა მიზნად ნაცების საბოლოო დასუსტებას ისახავდა. საქმე ის გახლავთ, რომ მთელი „ნაცმოძრაობა“ მოსკოვიდან ფინანსდებოდა. რუსეთი ნაცების კურატორი იყო. ახლა, როცა რუსეთს თავად გაუჭირდა და კოლაფსის პირასაა, ნაცებისთვის აღარ სცხელა. პუტინმა 13 მილიარდი დოლარის ობლიგაციები გამოუშვა, რადგან საკმარისი ფული აღარ აქვს აღარც ნავთობიდან, აღარც გაზიდან. შემოსავლები საკმაოდ შეუმცირდა და ნაცების დასაფინანსებელი ფული აღარ აქვს. ამიტომ „ნაცმოძრაობა“ კერძო დაფინანსებაზე გადავიდა, იგივე, კეზერაშვილის და სხვების სახით. თუმცა მათ არ შეუძლიათ იმ ფუნქციის შესრულება, რასაც მოსკოვი ნაცებისთვის აკეთებდა. ამიტომ მოსალოდნელია „ნაცმოძრაობის“ დეგრადაცია, ნელნელა დასუსტება, რაც კარგია. თუმცა ეს „ქართული ოცნებისთვის“ სერიოზული გამოწვევაა. ბოლო ორი არჩევნებია, მათ ხალხი ირჩევს არა დამსახურების, არამედ იმის გამო, რომ ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება არ სურთ. თუ ნაცები აღარ იქნებიან, ხელს ვეღარავისკენ გაიშვერენ. ამიტომ „ქართულმა ოცნებამ“ სოციალური თუ სხვა პროგრამებით ხალხის გული უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაში დარჩენა გაუჭირდება.

**— ოპოზიცია გაიძახის: ხელისუფლება სააკაშვილს პუტინის დავალებით კლავს, მიშა პუტინის პატიმარიაო. რეალურად რა ხდება?**

— ეს სასაცილოა. პუტინს სააკაშვილის მოშორება რომ ნდომებოდა, ამის საშუალება მილიონჯერ ჰქონდა — ერთი ვიზიტი უკრაინაში და აქ ჩამოსვლამდე გააგორებდნენ. პირიქით, რუსეთი სააკაშვილს, როგორც ერთ-ერთ კოზირს, ისე იყენებს, რათა საქართველოში სიტუაცია არიოს. ჩემი ინფორმაციით, სააკაშვილი საქართველოში დასავლეთმა ორი მიზნით ჩამოიყვანა: პირველი, რათა „ქართული ოცნებისთვისაც“ და „ნაცებისთვისაც“ რეიტინგი აეწია. „ქართული ოცნებისთვის“ მხარდაჭერა შემდეგი მოტივით აიხსნება: აი, სააკაშვილი ჩამოვიდა, საფრთხე რეალურია და თუ ჩვენ მხარს არ დაგვიჭერთ, დაიღუპებითო. ამავდროულად, ხელი მოემართათ ნაცებსაც — მათ მიშას ფაქტორის გათვალისწინებით მეტი ხმაც მიიღეს და სხვადასხვა ქალაქების საკრებულოებში თავიანთი წარმომადგენლებიც გაიყვანეს. მას მერე, რაც სააკაშვილმა ორივე პარტიის საქმე გააკეთა, იგი აღარავის სჭირდებოდა. **ამერიკელებმა სააკაშვილი თავად გაწირეს. დიახ, სწორედ ამერიკელების დამსახურებაა, რომ სააკაშვილი და გვარამია დღეს ციხეში სხედან. ზოგს პირიქით ჰგონია: ვითომ ამერიკა სააკაშვილის გათავისუფლებას ცდილობს. ეს ასე არ არის. დავაკვირდეთ, ამერიკას ერთი ოფიციალური პროტესტიც კი არასდროს გამოუთქვამს სააკაშვილის ციხეში ყოფნასთან დაკავშირებით.** ამერიკელები, უბრალოდ, ამბობენ: მიშას სათანადო პირობები შეუქმენით, რათა არ მოკვდესო. მიშას ფაქტორს დასავლეთი იყენებს არა მისი ციხიდან გამოსაშვებად, არამედ „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლის მოსახდენად. ეს მიღებული ფორმაა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სააკაშვილს „ქართულ ოცნებაზე“ წინ აყენებენ. დასავლეთი მმართველ ძალას ენდობა. მაგრამ თუ რეფორმებს არ გაატარებს და დასავლურ კურსს არ გაჰყვება, ძალაუფლებას დაკარგავს. მით უმეტეს, თუ ამას ამერიკელები მოინდომებენ. ამერიკას რომ ნდომებოდა, აქამდე ჩახსნიდა „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან, მაგრამ ეს არ უნდათ.

**— ანუ სააკაშვილი პუტინის კი არა, ამერიკელების პროექტია?**

— რა თქმა უნდა, ასეა. პირიქით, პუტინი სააკაშვილს იყენებს, თან მისი მხარდამჭერია. მათ საქართველოში გადატრიალების მოწყობა უნდოდათ. აღსანიშნავია, რომ **ამერიკელებმა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველა გეგმა და პროექტი ჩაშალეს, რაც ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნებას ისახავდა მიზნად.** ეს ამერიკელების დამსახურებაა და არა „ქართული ოცნების“. დიახ, მიშას ხელისუფლებაში მობრუნება ამერიკელებმა ჩაშალეს, რასაც ბევრი ვერ ხედავს.

**— მაშინ რით აიხსნება, ის, რომ ევროპის რეზოლუციებში პირდაპირ წერენ: მიშა პოლიტპატიმარია და გაათავისუფლეთო. რას ემსახურება ეს?**

— ეს ერთ-ერთი ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებაა, რაც ბევრს არაფერს ნიშნავს. რუსებს ნახევარი მსოფლიო, პოლიტიკური ელიტა, მათ შორის, ამერიკაშიც, ევროპარლამენტშიც მოსყიდული ჰყავთ. თავის დროზე მათ მოსასყიდად დიდი ფული დახარჯეს. ამიტომ მოსყიდული კომიტეტები ზოგჯერ ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგაა მიმართული. დასავლეთი ცდილობს, რუსული ვექტორი შეასუსტოს და მმართველი ძალა მთლიანად დასავლურ ვექტორზე გადაიყვანოს. აი, რისთვის მიდის დღეს ბრძოლა.

**— კონსტიტუციაში ხომ ისედაც გვიწერია ევროინტეგრაციის კურსისკენ სვლა. თუმცა, ოპოზიცია ხელისუფლებას მაინც ადანაშაულებს: რუსეთისკენ მიგვაქანებო.**



— გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, ასეა ნაცების საქმე. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, იგი პროდასავლურ ვექტორს ერთგულებს. მას დიდი არჩევანი არც აქვს, რადგან რუსები თუ გაიმარჯვებენ, „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში არ დატოვებენ. თუ პროდასავლური ვექტორი გაიმარჯვებს, მაშინ მმართველ ძალას სერიოზული ცვლილებების გატარება მოუწევს. ბუნებრივია, დასავლეთი რუსეთს საქართველოს არ დაუთმობს. პროდასავლურ ვექტორს უნდა ვუერთგულოთ, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საბოლოო ჯამში, თუ რუსეთი დამარცხდება, მმართველი ძალაც ამოისუნთქებს და, რაც მთავარია, ეს ერთადერთი გზა



იქნება, რათა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დავიბრუნოთ. თუ დასავლეთი მოახერხებს, რუსეთი დაასუსტოს, დაშალოს, ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს, რაც საქართველოს გაერთიანებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება.

**— რუსეთის დაშლა ახსენეთ. საუბრობენ, რომ ამ შემთხვევაში საქართველო მუსულმანურ რკალში აღმოჩნდება, რაც გარკვეული საფრთხის შემცველია.**

— ამ მოსაზრებას თავად რუსები ავრცელებენ. ვთქვათ, რუსეთი მართლა დაიშალა. ასეთ შემთხვევაში ამ ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფო წარმოიშვება. გამორიცხული არ არის, იგივე ჩრდილოეთ კავკასიაში ცალკე შეიქმნას ჩეჩნეთი, ცალკე ყაბარდო-ბალყარეთი. ანუ რამდენიმე რესპუბლიკა გაჩნდეს. ისინი საქართველოს ვერაფერს დაუშავებენ, ამის ძალა არ აქვთ. პირიქით, საქართველოს იმედად არიან. რაც შეეხება კადიროვს, დასავლეთი მაშინვე დამნაშავედ გამოაცხადებს ან თავად ვინმე ჩეჩენი მოკლავს ან, როგორც სამხედრო დამნაშავეს, პუტინს მიუჯდება ჰააგის ტრიბუნალზე. რაც შეეხება თურქეთს, მას ჩვენთვის არ სცალია, რადგან ირანის პრობლემითაა დაკავებული. ირანს დიდი მადა აქვს და ცდილობს, ტერიტორიები კიდევ შემოიერთოს, ხოლო ისრაელის სახელმწიფოს საერთოდ მოსპობით ემუქრება. ამიტომ ირანი შეიძლება დიდი საფრთხის ქვეშ დადგეს. შიდა გამოსვლებიც შემთხვევითი კი არა, გარედან აგორებული ტალღაა. ირანის მოსახლეობა რეჟიმით უკმაყოფილოა. ირანიც შეიძლება დაიშალოს. იქ ირანელი მოსახლეობა მხოლოდ 50%-ია, დანარჩენი ტომობრივი წარმონაქმნებია. ასე რომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით თურქეთს ჩვენთვის არ სცალია. ერდოღანს დასავლეთის მხარდაჭერა არ აქვს და მომდევნო არჩევნებში, დიდი ალბათობით, ვერ გაიმარჯვებს. ამერიკა მისი წინააღმდეგია. ანუ მუსულმანური ალყის კუთხით, საქართველოს არაფერი ემუქრება.

**— რამდენად მოსალოდნელია, შესაძლო მარცხის მოახლოების შემთხვევაში, რუსეთმა ატომური ბომბი გამოიყენოს?**

— არ მგონია, ასე მოხდეს. თუ ატომური ბომბის გამოყენებას აპირებს, მაშინ მობილიზაციის გამოცხადება რისთვის სჭირდება?! ჩინეთი ატომური ბომბის გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგია. ამის გაკეთება ამერიკამაც პირდაპირ აუკრძალა. ტაქტიკური ატომური ბომბის გამოყენების შემთხვევაში უკრაინაში განლაგებულ მთელ რუსულ არმიას ამერიკა მიწასთან გაასწორებს. პუტინს ამის შესახებ პირდაპირ მიანიშნეს. ასევე მისი ოთხი ბუნკერი — მოსკოვში, სტავროპოლში და ორიც ციმბირში, ამერიკელების მიერ განადგურდება. ამერიკელებმა იციან, რომ ამ ბუნკერებს მცირე მოცულობის ატომური ბომბით ორ კილომეტრ სიღრმეში ააფეთქებენ. პუტინი გააფრთხილეს: ვერსად დაგვემალებიო. ამიტომ ატომური იარაღის გამოყენება, ჩინეთის ზეწოლის და დასავლეთის მტკიცე პოზიციის გამო, არ მოხდება.

**— წინა კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთსა და**

12 გვ. →

**„ყველანაირი მშვიდობა როდია საღმრთო მშვიდობა! რამეთუ არსებობს მშვენიერი უთანხმოებაც და არსებობს დამღუპველი ერთსულოვნებაც. უნდა გვიყვარდეს მხოლოდ ჭეშმარიტი მშვიდობა, კეთილმიზანდასახული და ღმერთთან მიმყვანებელი, რადგან საქმე როცა აშკარა უკეთურობასთან გვაქვს, მაშინ ცეცხლსა და მახვილსაც არ უნდა ვერიდოთ, არც დროისა და ხელმწიფის მოთხოვნებს დავემორჩილოთ, მით უმეტეს — არამც და არამც არ უნდა ვეზიაროთ მზაკვრულ დვრიტას, არ უნდა მივემთხვიოთ სენშეყრილს!**

**ყველაზე დიდი ცოდვაა, ღმერთზე მეტად გვეშინოდეს რაიმესი და ამ შიშის გამო ვღალატობდეთ ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებას!“**

**წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა მე-6 „მშვიდობის შესახებ“**




# თბილისი - მშვიდობის ქალაქი

ძალზე საინტერესოა, რატომ არ ხედავს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება და რატომ არ ხვდება, რომ საქმე „აშკარა უკეთურობასთან“ გვაქვს და „არც დროისა და ხელმწიფის მოთხოვნებს უნდა დავემორჩილოთ და არც სენშენშეყრილს უნდა მივემთხვიოთ“.

ის, რომ დღეს საქართველოში მშვიდობას აპროტესტებენ, ხომ სწორედ იმის შედეგია, რომ 2012 წელს ხელმწიფე-აშშ-ს დავემორჩილეთ და გულითადად მივემთხვიეთ სენშეყრილ „კოლექტიურ დასავლეთს“.

ის, რასაც დღეს ვხედავთ და რის ატანასაც გვაიძულებენ, ხომ სწორედ ჩვენივე ბრალია, ზურგზე რომ ავიკიდეთ მოურჩენელ სენად პარაზიტებთან თანაცხოვრება, ე.წ. კოჰაბიტაცია.

მაშასადამე, რა ყოფილა კოჰაბიტაცია — უსამართლობის დაკანონება მისი ყველა ფორმით: ხელშეუხებლობით, დაუსჯელობით, შერჩევითი სამართლითა და აბსოლუტურად ყველანაირი მსგავსი მანკიერი გამოვლინებით.

ახლა დამდგარან და მშვიდობას აპროტესტებენ!

ეს კიდევ არაფერი, ნახეთ, „ჰალსტუხიანი ხვლიკი“ (გიორგი თარგამაძე) რას ამბობს: „მშვიდობა — კოდური სიტყვაა, რომელიც რუსული სპეცსამსახურებისა და მოსკოვის სამხედრო ოპერაციების დასახელებებში აქტიურად ფიგურირებს.“ მას მხარს უბამს „ჭკუისსაკითხავი“ ქალი (ნატა ფერაძე), რომელმაც შეკითხვაზე: სად ბრძანდებოდით 2012 წლამდე? უპასუხა: „ვტ...ობდიო — აი, მათი სახეები. თან რომ გესლს აფრქვევს ეს ქალისებრი, „ეტყობა, ანუკიმ ურჩია კალაძესო...“ ვინ ამბობს ამას, ეს ათას „ყანჩაზე“ გადამხტარები, თუ „ომი გვინდა!“ უნდა წაეწერათ ბავშვების (არამხოლოდ) გამხარებელ საახალწლო ნაძვისხეზე და სათამაშოების ნაცვლად ნაჭრის ტიკინები უნდა ჩამოკიდათ, დაბომბვის დროს გარდაცვლილი უკრაინელი ბავშვების სულის საცხონებლად? გვამებზე დაგეშილი ლეშიჭამია თეა ადეიშვილი ფრიად გაიხარებდა, წარმოიდგენდა, რომ ქართველი ბავშვები არიან. აბა, სხვას რას იფიქრებ მის ტიპიურ ნაცურ ბოღმაზე: „მშვიდობის ქალაქს აანთებენ დღეს და დენმა არ დაგარტყათ, შვილებს მაინც ნუ წაიყვანთო...“

„ძირს მშვიდობა! დიდება შიშს!“ — მიახლაფორთეს „ვიღაცებმა“ კედელზე წარწერაც. გესმით, მათი ფსიქიკა როგორი დეგრადირებულია? მაზოხისტები არიან და სწორედ ამიტომ მოსწონდათ ის მდგომარეობა, რომელშიც ვიყავით, იმიტომ მისტირიან ომსაც და იმ ჯალათებსაც დიდი სექსუალისტი ჯალათის მეთაურობით...

ისა და, მეფისნაცვალი კელი დეგნანი ქართულად რომ ამბობს დამარცვლით, „ჩვენ ომი არ გვინდა, ჩვენ გვინდა მშვიდობაო“, მაგის რუსეთუმე დედაც, შე ჰალსტუხიანო ხვლიკო და კრებსითო ტყ...ია ფერაძეებო!

ჰიპერექსუალურ ნატა ფერაძეს საკუთარი სექტაც შეუქმნია. შეხედავ, ნორმალურ ადამიანებს ჰგვანან, პირს გააღებენ და: „რაღაცნაირად უხერხულია ამ მშვიდობის ქვეშ დამალვა და რაღაც პრობლემის არდანახვა. მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მერიდება ამ სლოგანისო! — ძალიან უხერხულად გრძნობს თავს ვიღაც ახალგაზრდა ქალი.

იქით ვიღაც ახალგაზრდა მამაკაცია შავ დღეში: „ჩვენს სამეზობლოში არ არის შუქი, არ არის სინათლე, იხოცება ხალხი. ლაპარაკი იმაზე, რომ აქ არის მშვიდობა, არის ძალიან უხერხულიო“. ეს მაგარი ფიზიკოს-გეოგრაფი ვინღა ქინძისთავია, შუქი და სინათლე არ ყოფილა სამეზობლოში...

ბიჯოოო, აქ შემობუდებულ უკრაინელებს ძალიან უხარიათ აქაური მშვიდობა და ტაშ-ფანდური გაუდით, ამათ რა ფორმის ტვინღრძობა დამართნიათ, ნეტავ?

08.08.2008-ში აქეთ მიშა რომ ზეიმობდა ქართველი ვაჟკაცების ცხედრებზე და იქით ზელენსკი კლოუნობდა ჩვენზე, მაშინ არაფერი ეუხერხულებოდათ ამ ტვინგაციებულებს?!

„კალაძესთან (საახალწლო ნაძვისხის ანთებისას) რომ მილიონობით კაცი იდგა და ჩვენთან იყო 200 კაცი, ეს არის — ობი გვედება. ობი არ უნდა მოგვედოს!“ — საპროტესტო საჩივარი გამოაცხო ფერაძე მრავალისმნახველმა. სადანა მოედვა იმფერი ობი, თვითონვე რომ მიხთა და აღიარა?

ვიღაცამ დაწერა, „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნატა ფერაძის აზრზე რომ ხარ, უკვე ტეხავსო“ და ვიღაცამ მიუწერა: „2012 წლამდე ეგენი ერთად ტ...დნენ და ერთ აზრზე იმიტომ არიანო“. მომენტ, გაგეცინება კაცს, მაგრამ „უძინართა მზის“ პერსონაჟისა არ იყოს, ეს რა მოუშორებელი ჭირი გვჭირს, ტოო!

ვისაც საქართველოში მშვიდობა ეუხერხულება, ბახმუტში რატომ არ მიდიან, აკავებთ ვინმე? და სულაც, როდესაც სხვა ქვეყნები იბომბებოდა, იმჯერად აშშ-ის (ნატო-ს ჯარები) მიერ, ის რატომ არ ეუხერხულებოდათ ამ ყველა მხრიდან ნაუხერხულებლებს?

გამოენთო რუსული რუბლებით გაზულუქებული კგბ-ის ოფიცერი ლიაკა რუბლიოვა და, შავი ლენტებით შევამკოთ საახალწლო ნაძვის ხეო. ვიღაცამ მიუწერა, მამაშენ გოგიას შეაბი შენი გაკეთებისთვისო. კი გამეცინა, წარმოვიდგინე, შავლენტებშებმულ ნაძვ-გოგიას როგორ უვლიან გარს „ლიაკა და კომპანია“ გლოვის ზარით. ნეტავ, „ვერხუშკად“ რას დაადგამდნენ? „პრაიმ ჰაუსის“ პროდიუსერს დაეკითხებოდნენ, ალბათ, ისიც ხომ ამათი იდეური დაიკოა. აბა, იმ „მგლოვიარეებს“ რა სამხიარულო ტექსტები გაახსენდებათ სამღერლად, ან რა თოვლის პაპა ედარდებათ, ჰოდა, მათი სამღერი პარტია ეს არის: „ეო, მეო, ჩემი ნაძვის ხეო,/ სათამაშოები გაყრია, როგორც ჩემი ..ეო/ ზოგიერთი მაგრად ბრწყინავს,/ ზოგი კიდე „ბრაკია,/ თოვლის პაპა თუ არ მოვა,/ მო... ან დედის ტ...ია.“

თურმე, სლოგანი „მშვიდობის ქალაქი“ ანტიუკრაინული და ანტიდასავლური პროპაგანდისტული სლოგანი ყოფილა. რა თქვეს, ფაქტობრივად, ვერც მიხვდნენ, რადგან საქართველოს ომი კი არა, მშვიდობა უნდა და ამიტომ მეორე ფრონტის გახსნას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მაშასადამე, საქართველოში ომის უბედურება სდომებიათ უკრაინას და „კოლექტიურ დასავლეთს“. ზუსტადაც რომ სიმართლე თქვეს, მაგრამ რეგვენობით მოუვიდათ. უთხრეს კიდეც პირდაპირ და გაიბუეს თავები, ანტიამერიკული განწყობების გააქტიურება შეინიშნებაო; ანტიდასავლური განწყობებიო; გადაიხედება რაღაც საკითხებიო... ახლა ამათი სპეკულანტობა აიტანე კიდევ!

გადამთიელებისგან არც უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ რა მოძალადე და მოუშორებელ „მეგობრებს“ ავეკიდებით ხოლმე, რა ჯანდაბა გვჭირს, რით ველარ მოვიშოერთ ეს მოურჩენელი არასრულფასოვნების კომპლექსი.

გადამთიელს რომ მხოლოდ ინტერესთა დამთხვევის შემთხვევაში აინტერესებ, ეს ვიცით, მაგრამ ეს შინაური, ქვეყნის სისხლისმწოველი პარაზიტები კი უნდა შეიპყრო და სათითაოდ მანამ უხათქუნო თავში აკაკის სიტყვები, ვიდრე პასუხს არ გასცემენ:

„ფარისეველო, გაუტანელო,<br>
სხვასთან თავმხრელო,<br>
შინ ორმოს მთხრელო,<br>
ნაგავის მყრელო,<br>
შენ ჭრელო გველო,<br>
რამ შეგაძულა, თქვი,<br>
საქართველო.“

კაცმა რომ თქვას, აქ რომ ერთი ბომბი ჩამოაგდოს რუსეთმა, ისევ ისინი გაასწრებენ წითელი ხიდიდან და სარფის საბაჟოდან კისრისტეხით, ვინც 2008-ში ქუსლებს დუმებში ირტყამდა. ზუსტად ისეთივე სურათი იქნება, როგორიც მაშინ იყო — კონსტიტუციური წესრიგის სახელით რუსეთთან ხუთდღიანი ომის წამომწყებებს გულზე ყაყაჩო რომ ჰქონდათ მიბნეული აფერისტულად, აი, როგორ ვგლოვობთო, ყოვლად უდანაშაულოები კი ზოგი მზისგულზე ეყარნენ, ზოგი კი მიწაწყრილი ესვენა გაზაფხულზე ყაყაჩოების გამნოყიერებლად...

საინტერესოა, საზღვრისპირას შარვალისჩამხდელ „ვაჟკაცთა“ კოჰორტა რას იზამს, აქვე დახვდება საკუთარი დუმებით საქართველოს დასაცავად, თუ მეზობელ ქვეყნებში გადაირბენენ და ახლა იქიდან დაანახვებენ მტერს „მებრძოლ“ უკანალს?!

ზოგჯერ ლამის შემებრალოს კიდეც ეს ჩვენი „ერწლიანი მომაკვდავი სნეული“, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ თავისივე ნაცბანდას მოსწყინდა მისთვის გუნდრუკის კმევა, მხოლოდ ბუას ფუნქციაღა დაუტოვეს. მე თუ მკითხავთ, სულაც მის სიკვდილს ნატრობენ ჯერჯერობით, შემდეგ თვითონვე მოუღებენ ბოლოს და იტყვიან, ხომ ვამბობდით, კლავენო, ჰოდა მოკლესო. ჩვენს „სნეულს“ ხომ ჩვენსავით და უკეთესადაც იცნობენ, რა ფსიქოტიპაჟიცაა. მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია წავიდეს კი არა, მავრი უნდა მოკვდეს! — მარტივია. უბრალოდ, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ხელსაყრელი ფონი შეიქმნება ხელისუფლების შესაცვლელად და „მეორე ფრონტის“ გასახსნელად — სულ ესაა მთელი ამ აჟიაბაჟიას თავ-ბოლო.

ერთი აზრი მიმყარდება — უკრაინელი ნაცისტები ჩვენს ნაცისტებზე გამოიმასქნებულები არიან, ხოლო „კოლექტიური დასავლეთი“ — ორივე ამათზე. საქმე ის გახლავთ, რომ ორივე ქვეყნის სულგაყიდულ „ნაცბანდას“ ხალხიც ფეხზე ჰკიდია და თავიანთი ქვეყნებიც, ჩვეულებრივი „კიკუები“ არიან, ვინც მეტს გადაუხდის, ყველაფერს შეუსრულებენ — უბრალოდ, რუსეთი „კლიენტი“ არ არის, ის მოძალადეა, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის ძალაზე, რომ ძალა ერჩის. „კოლექტიურ დასავლეთს“ მილიონები დაკარგული დარჩება, კიკუები კი სხვებთანაც კარგად იკიკუებენ...

მოკლედ, არ უნდათ ამ „ომისმოყვარე ბუზანკალებს“ მშვიდობა და ძალაა? ან რატომ უნდა უნდოდეთ, როცა ცხედრების თავზე ხმაშეწყობილად იბზუილებენ და გარანტირებული ფული ჯიბეში ექნებათ? მერე რა, თუ ჩვენი სამშობლო — საქართველო აღარ იქნება, რას დაჰკარგავენ, რაც არასდროს ჰქონიათ. ეს სულგაყიდულები ხომ დაბადებიდან უსამშობლოდ დაიბადნენ და იქ არის მათი სამშობლო, სადაც უზრუნველად იცხოვრებენ.

მახსოვს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის (დავით უსუფაშვილი) კითხვაზე: „რას მოიმოქმედებთ, თუ საქართველო რუსეთის მორიგი თავდასხმის ობიექტი გახდებაო?“ პასუხი არავის გაუცია ე.წ. დასავლეთიდან, მაგრამ სანაცვლოდ უპასუხეს ჩრდილოეთიდან. კრემლის მასხარად ვინ მიიჩნევდა ვლადიმერ ჟირინოვსკის, რუსი, ქართველი თუ სხვა, მას სრულებითაც არ ანაღვლებდა, ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა და არაერთხელ აღმოჩნდა, რომ სწორედ იმას ამბობდა, რასაც კრემლში ფიქრობდნენ.

გამოვიდა ჟირინოვსკი და დაჯღანულმა იყვირა: ან სრულიად საქართველო, ან ეს კორუმპირებული ოსეთი და აფსუებიც მოვიშოროთ, რაში გვჭირდება, რატომ უნდა ვარჩინოთ მუქთახორებიო? (16 აპრილი, ტელეარხი „**Россия 1**“ წელი არა, თარიღი კი ოჯახის წევრის დაბადების დღის გამო მახსოვს).

მარტივი კითხვაა: რა შედის კრემლის ინტერესებში, აფხაზე-

12 გვ.

# სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა ამერიკელებმა ჩაშალეს



← 10 გვ.

**ცხინვალში პროვოკაცია მზადდებოდა. რა იცით ამის შესახებ?**

— ზოგადად, რუსები აფხაზებისა და ოსების გენოციდს აპირებდნენ. მათი ვითომ დამოუკიდებლობა შირმაა, ეს აფხაზებისა და ოსების მოტყუებაა და მეტი არაფერი. სინამდვილეში, რუსეთი მათ ასიმილირებას და ამ ტერიტორიების მიერთებას ცდილობს, რასაც ვერ მოახერხებს. ახლა საკუთარი ტერიტორიები აქვს შესანარჩუნები. ჯერჯერობით ეკონომიკურ სანქციებს შედეგები არ მოჰყოლია, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება. გაზაფხულისთვის, შესაძლოა, რუსი ხალხი გარეთ გამოვიდეს და ხელისუფლება ჩამოაგდოს. ამიტომ აფხაზებსა და ოსებს ერთადერთი გზა აქვთ — ჩვენთან დაბრუნდნენ და ოსებმა კულტურული, ხოლო აფხაზებმა ჩვეულებრივი ავტონომია მიიღონ, საკუთარი ენა, იდენტობა, კულტურა, ტრადიციები შეინარჩუნონ, განვითარდნენ, რაშიც ხელს შევუწყობთ. დიახ, აფხაზებს და ოსებს ვთავაზობთ, ქართულ გარემოში დაბრუნდნენ და თავიანთი იდენტობა გადაარჩინონ, გადარჩნენ მორალურადაც და ფიზიკურადაც.

**— ევროსაბჭო „პოლიტპატიმარი“ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს. რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— ის, რომ ევროპის რომელიღაც კომიტეტის რამდენიმე პარლამენტარი სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებას უჭერს მხარს, ეს არაფერს ნიშნავს. თავად ევროპარლამენტს ასეთი დადგენილება მიღებული არ აქვს. მიშა არავითარი პოლიტპატიმარი არ არის. სააკაშვილი თავად ჩვენმა ქვეყანამ ისეთი მუხლებით გაასამართლა, რაც ევროპარლამენტარებს საფუძველს აძლევს, მისი გათავისუფლება მოითხოვონ. სინამდვილეში, სააკაშვილი სულ სხვა მუხლებით უნდა გასამართლებულიყო და არა საზღვრის გადმოკვეთის და პიჯაკების თუ კიდევ რაღაც სისულელეების გამო.

**— გვითხარით, რეალურად რა მუხლებით უნდა გასამართლებულიყო სააკაშვილი?**

— 2008 წლის მოვლენები მთლიანად სააკაშვილის კისერსა და სინდისზეა. ასევე, 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალება. 2008 წლის ომში ტერიტორიული დანაკარგებისთვის უნდა გასამართლებულიყო. გარდა ამისა, იმ პერიოდში მთლიანი შეიარაღების 70% რუსებმა გაზიდეს, რასაც ამერიკა და სხვა ქვეყნები გვაწვდიდნენ. ასევე, განადგურდა სამხედრო ძალები, ცხინვალის რეგიონში რუსებმა სოფლები ქვიშებად აქციეს. **ეს სამშობლოს ღალატია! სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ფაქტობრივად, ტერიტორიები ხელისუფლების სანაცვლოდ ჩააბარეს. ეს გახლავთ მთავარი ბრალდება, რაც ძალიან სერიოზულ სასჯელს ითვალისწინებს. სააკაშვილს კი ამ დროს ისეთი მუხლები აქვს წაყენებული, საიდანაც თავის დაძვრენა მარტივად შეუძლია.** ყოველწლიურად მსოფლიოში 15 მილიონი ადამიანი საზღვარს უკანონოდ კვეთს. ყველას ვინ ჩასვამს ციხეში?! ასევე, სასჯელი დააკისრეს „პიჯაკების საქმეზე“ და ვალერი გელაშვილის ცემაზე, როცა რეალურად მილიონები შეჭამა და ქუჩაში ახალგაზრდები ჩახოცა. მას სერიოზული ბრალდებები უნდა წაეყენოს, რაზეც ვისაუბრე კიდეც.

**— ანუ დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე გვაქვს?**

— სრულად დამოუკიდებელნი დიდი ქვეყნებიც კი არ არიან. უკრაინა 44-მილიონიანი ქვეყანაა, მაგრამ ხომ ხედავთ, რაც დაემართა. ამ კუთხით პრობლემები საფრანგეთშიც არის. იდენტობის შენარჩუნების საკითხი ყველა ქვეყანას უდგას, მათ შორის, გერმანიას. მაგალითად, ევროპის რიგი დიდი ქვეყნები რუსეთის ენერგომატარებლებზეა დამოკიდებული. პოლიტიკურ თუ ენერგოდამოკიდებულებას რუსეთი ყოველთვის ამ ქვეყნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. რუსეთმა მთელი დასავლეთ ევროპა დააშანტაჟა, დიდი ქვეყნებიც კი არ დაინდო. პატარა ქვეყნებს ხომ ანგარიშს ისედაც არ უწევდა.

**— ანუ რუსეთ-უკრაინის ომმა ევროპა შეარყია?**

— ამ ომმა ევროპას ბევრი რამ ახალი თვალით დაანახა. თუნდაც ის, რომ თუ რომელიმე ქვეყანა შენს მიმართ სოლიდარული არ არის, მასთან ერთად ფული არ უნდა აკეთო. აქამდე ევროპულ ქვეყნებს ნორმალური თავდაცვითი ხარჯები არ ჰქონდათ. ისინი ამერიკის ქოლგის იმედად იყვნენ. ახლა დარწმუნდნენ, რომ რუსეთი არავის დაინდობს. დიახ, ევროპა პრობლემების წინაშე დადგა, მაგრამ ამით მისი დამოუკიდებლობაც განმტკიცდება. ამჯერად ბევრ რამეს საკუთარი ქვეყნების საკეთილდღეოდ გააკეთებენ. ენერგომატარებლები რუსეთის ხელში ყველაზე სახიფათო იარაღია. ევროპა მიხვდა, რომ არ შეიძლება, ამ კუთხით რუსეთზე დამოკიდებული იყოს, რადგან იგი გაზს გადაკეტავს და შეიძლება, ხალხი სიცივით დაიხოცოს. შედეგად, მოსახლეობა ქუჩებში გამოვა, მთავრობებს დაამხობს, რამაც, შესაძლოა, სამოქალაქო ომები და მთელი პრობლემები წარმოშვას. ევროპას ამ ზამთარს გაუჭირდება, თუმცა ეს მათთვის სასიკეთო იქნება — მათი დამოუკიდებლობა ამით გაძლიერდება. ამის მერე შეიძლება ამერიკაზეც აღარ იყვნენ დამოკიდებულნი. დიახ, ისინი თავდაცვით ბიუჯეტს, არმიას შექმნიან და აღარც რუსეთზე იქნებიან ენერგეტიკის კუთხით დამოკიდებულნი და არც ამერიკაზე — სამხედრო კუთხით.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თბილისი – მშვიდობის ქალაქი



← 11 გვ.

თისა და ოსეთის თავიდან მოშორება, თუ მთლიანი საქართველოს ჩაბღუჯვა? — კითხვა დაუსვა უსუფაშვილმა დასავლეთს და საპასუხოდ იყვირა ჟირინოვსკიმაც.

ხალხს, ვინც დიდი ხანია ილუზიებში თვლემიდან გამოსულია, ორივე კითხვაზე პასუხი ამოკითხული აქვს კითხვის ადრესატების დუმილსა თუ მცირე კომენტარებში, მაგრამ რა...

იმ დროისთვის აუცილებელი იყო, უკრაინის (ისევ უკრაინის!) მოვლენებით გაღიზიანებულ ობამას პირდაპირ ეჯახებინა საქართველოსთვის სიმართლე — ნატო არა, კვატოო?

მანამდე, ჯერ კიდევ 2013 წლის შემოდგომაზე ბრძანა გერმანიის ელჩმა საქართველოში ორთვინ ჰენინგმა ერთ-ერთ ინტერვიუში ის, რისი გაგებაც საქართველოს სახელისუფლებო წრეებში რატომღაც არ უნდათ, თითქოს, თუ ნათქვამს ყურსა და ტვინში არ შეუშვებ, ფაქტი აღარ არსებობს...

ორთვინ ჰენინგი: „ის, რომ საქართველო ჯერაც არ არის NATO-სა და ევროკავშირის წევრი, ევროკავშირისა და გერმანიის ბრალი არ არის. დიახ, ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ, მაგრამ, ამავდროულად, ვართ რუსეთის პარტნიორებიც.

საქართველომ უნდა გააცნობიეროს ორი რამ: პირველი — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთთან ჩამოყალიბებული სტატუს-ქვო და პოლიტიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი დასავლეთი ევროპისთვის. ეს ურთიერთობა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიაა დასავლეთ ევროპაში და მას ევროპის პოლიტიკური ელიტა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევს. ამიტომ, ჩვენ არ ვაპირებთ, ეს ყველაფერი ქარს გავატანოთ. შეხედეთ რუკას დასავლეთ ევროპის გადმოსახედიდან და გაიხსენეთ, რად დაუჯდა დასავლეთ ევროპას ორი მსოფლიო ომი და რუსეთის როლი ამ ომებში. ახლა, როცა ეს ყველაფერი მოგვარდა და ევროპაში სტაბილურობამ დაისადგურა, ბუნებრივია, ამას საქართველოს გამოც კი ვერ შეველევით.

მეორე — საქართველო ვერ გახდება NATO-ს წევრი მანამ, სანამ არ იქნება გარანტია იმისა, რომ საქართველო ამ წევრობას არ გამოიყენებს რუსეთთან დასაპირისპირებლად.“

არადა, მოცუცქნულ საქართველოს სხვა რა ინტერესი უნდა ჰქონდეს რომელიღაც სამხედრო ალიანსში გასაწევრიანებლად?

კარგი, ვიღაცებმა გერმანიის ელჩისა ვერ გაიგეს, ვერც აშშ-ის პრეზიდენტისა, მაგრამ მათ გარდა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმაც ბრძანა მაშინ: „ჩვენთვის მიუღებელია მოსახლეობისთვის ცრუ მოლოდინების შექმნა და შემდეგ მოსახლეობის იმედგაცრუება. ჩვენ უნდა ვიყოთ თანმიმდევრულები, გავაგრძელოთ რეფორმები და გზა ევროკავშირისკენ — NATO-სთან დაკავშირებული მოლოდინები მცდარი არ უნდა იყოს. შესაბამისად, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა ის, რაც რეალობაა, ვინაიდან, NATO-ს გაფართოება ამ ეტაპზე არ იგეგმება“.

ასე ძნელია „რაღაცების“ გაგება, ყველა გამოშტერებულია, თუ ზოგი განგებ იშტერებს თავს — სამში ერთია!

როგორც დღესაც ვხედავთ, როცა მოიცლის ხოლმე, ჩრდილოეთი — რაღაც ტერიტორიების დაბრუნება-მიტაცებაზე ასველებს ალაგ-ალაგ სიტყვას. პარალელურად, „მათრახისა და თაფლაკვერის“ პრინციპით ხიდად გადებას აპირებენ საქართველოსა და მათ მიერვე მიტაცებულ საქართველოს ტერიტორიებს შორის; „დასავლეთი“ კი მხოლოდ გვპირდება ოდესმე რაიმეს მოცემას...

მოკლედ რომ ვთქვათ, ისღა დაგვრჩენია, ერთი მხრივ, ჩრდილოეთს დაველოდოთ, რას გადაგვიწყვეტს თავის დასავლელ მტერ-მოყვარე პარტნიორებთან შეთანხმებით და მერე ლატარეის გათამაშებასავით დაველოდოთ დასავლეთიდან იმ „რაიმეს“ მოცემას, მერე კი ვნახოთ, რას მოვიგებთ და რამდენში რამდენს...

სწორედ ამიტომ, „მშვიდობის ქალაქი“ მხოლოდ თბილისი კი არ უნდა იყოს, მთლიანად უნდა წაეწეროს ჩვენს სამშობლოს: „საქართველო — მშვიდობის ქვეყანა“.

მთელი ცივილიზებული სამყარო მშვიდობას უნდა ესწრაფვოდეს!

მშვიდობას გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება!

ეშმაკს ებარებოდეს ყველა გვამებზე მონადირე!

მშვიდობა არ მოგკლებოდეს, ჩემო საქართველო!

**ზურაბ ოქხერელი**

# ის, რაც მედიისთვის დასავლეთში შეზღუდულია, რატომ უნდა იყოს ნებადართული საქართველოში

საზოგადოებას კარგად ახსოვს მედიის აჟიოტაჟი „მოსმენების შესახებ“ კანონის შემოღების გამო - დემოკრატია დაგვექცაო. დღე არ გავა, საინფორმაციო საშუალებებიდან მავანნი არ გვმოძღვრავდნენ, ასეთი საკანონმდებლო ინიციატივების შემოღებით დემოკრატიას ძირს ვუთხრითო.

გულწრფელად, რომ ვთქვათ, ქართულ საზოგადოებას მართლაც მწირი ინფორმაცია აქვს საინფორმაციო საშულებების საერთაშორისო გამოცდილებების შესახებ. კერძოდ, იმის შესახებ, რა ხდება დასავლეთში, არსებობს თუ არა მედიასაშუალებათა, მათ შორის, ელექტრონული მედიის მარეგულებელი კანონმდებლობა და გულისხმობს თუ არა დემოკრატია საინფორმაციო საშუალებათა აბსოლუტურ თავისუფლებას.

„საერთო გაზეთის“ მკითხველს წინა ნომერში შევთავაზეთ წიგნის „ინერნეტსამართალი და ხელოვნური ინტელექტი“ ავტორთან, პროფესორ ზვიად გაბისონიასთან ინტერვიუ, რომელსაც სოციალურ გვერდებზე ჩვენი მკითხველის დიდი გამოხმაურება მოჰყვა.



ვფიქრობ, მკითხველები დიდი ინტერესით გაეცნობიან ფრაგმენტებს აღნიშნული წიგნიდან, რომლებიც ინტერვიუში წამოჭრილ საკითხებს ეხება.

### თავისუფალი მედია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში

იმ ქვეყანაშიც კი, საიდანაც ხშირად გვამუნათებენ, დემოკრატიას ძირს უთხრითო, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოქმედებს მედიის შემზღუდავი კანონი, კერძოდ, „მომხმარებელთა მიერ რეგისტრირებული ანგარიშების (account) შენახვის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინფორმაციაზე წვდომისა და პროვაიდერების მიერ სათვალთვალო აპარატურის დამონტაჟების მოთხოვნის შესახებ. **„რაც, უბრალო ენით რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ ამერიკის ფედერალურ საგამოძიებო ორგანოებს შეუზღუდავად აქვთ უფლება, ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტმედიაზე და მის ანგარიშებზე.**

ცნობისათვის, მოსმენები ხშირად განაპირობებს ანტიტერორისტული მოქმედებების წარმატებას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მოსმენა საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და თუ ის კანონის ფარგლებში ექცევა, ხელს უწყობს დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობას და, შესაბამისად, მისი არსებობაც მისასალმებელი. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში რატომ არის ყველაფერი მიუღებელი და რატომ არის დასაშვები დასავლეთისათვის, ან რატომ არქმევენ მას სხვა სახელს, მათ უნდა ვკითხოთ, ვისაც დანაშაულის შიში ძილს უფრთხობს და რაღაც გზებით სურთ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმით დაშინებულ ხალხს მოსმენა საზოგადოებას იმ ავბედით დროს ახსენებს, როდესაც ოჯახის წევრის მიერ ოჯახის წევრთან სატელეფონო კავშირი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული და, ალბათ, საზოგადოებაც სწორი ინფორმაციის გარეშე ხშირად მტკივნეულად რეაგირებს ხოლმე მოსმენების კანონზე, ვაითუ, იგივე განმეორდესო.

არსებობს ასეთი გამოთქმა, რომ ამერიკაში გარდაუვალია ორი რამ - გადასახადები და სიკვდილი. ჰოდა, მათ შორის არც მედია ყოფილა თავისუფალი გადასახადებისაგან.

ამავე წიგნში, რომელიც ბატონმა ზვიადმა შემოგვთავაზა, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტია მოტანილი. **კერძოდ, 2010 წელს აშშ-ის ფილადელფიის შტატის ხელისუფლებამ ოფიციალური შეტყობინებები გაუგზავნა შტატის ბლოგერებს, ინტერნეტგამოცემების მესვეურებს, რომ დარეგისტრირებულიყვნენ**




**მეწარმეებად და გადაეხადათ გადასახადები თავიანთი შემოსავლებიდან (საინტერესოა, რა შემოსავლის მქონე უნდა იყოს ბლოგერი, რომ გადასახადით ახრჩობდე ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაშიმ როგორიც ამერიკაა). ასევე სთავაზობდნენ მათ, შეეძინათ 300 აშშ დოლარის ლიცენზია კერძო წარმოებისათვის. ავტორის მითითებით, ამერიკაში არ არსებობს ზუსტი საკანონმდებლო რეგულაცია ვებ-გვერდების დაბლოკვის შესახებ, გარდა მეკობრული კონტენტისა, ბუნებრივია,** ამ ფაქტის ფონზე უნებლიეთ გვახსენდება საქართველოში „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას დაკავების ფაქტი, რომლის დაპატიმრებასაც, სამწუხაროდ, დასავლეთში ქართული დემოკრატიის მარცხი უწოდეს. ასევე, ნიშანდობლივია გვარამიას მოსამართლის, ლაშა ჩხიკვაძის ისტორიაც, რომელსაც დღემდე ამერიკაში სტაჟირებაც კი აკრძალული აქვს. არადა, ნიკა გვრამიას თანხების გაფლანგვის გამო წაეყენა ბრალი და არა რომელიმე პოლიტიკური გადაცემისთვის. როგორც აღმოჩნდა, მართალი ყოფილა გამოთქმა: ამერიკაში გარდაუვალია ორი რამ - სიკვდილი და გადასახადები.

ზოგიერთი ჩვენი მედია საშუალება ისეა სკანდალებს აყოლილი, არაფრად აგდებს მათ მიერ გახმოვანებულ ინფორმაციას, ფაქტებს, იქნება თუ არა ისინი ქვეყნისთვის ზიანის მომტანი.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, მედიას სრულად თურმე არც დასავლეთის ევროპის ქვეყნები სწყალობენ.

ზვიად გაბისონიას ნაშრომის თანახმად, რომელიც სახელმძღვანელოა მომავალი იურისტებისათვის, ვკითხულობთ: „2014 წელს დიდ ბრიტანეთში შემოღებული იქნა პერსონალური მონაცენების მოთხოვნის აქტი“, რომელიც ავალდებულებდა ინტერნტპროვაიდერებს, შეენახათ პერსონალური ინფორმაცია ერთი წლის განმავლობაში და სამართალდამცავ ორგანოებს მათზე წვდომის უფლებას ანიჭებდა. გარდა ამისა, კანონი „საგადასახადო მოქმედებების რეგულირების“ შესახებ გამომძიებლებს საშუალებას აძლევს, მოითხოვონ ეჭვმიტანილი მომხმარებლისაგან წარმოადგინონ დაშიფრულ მასალებზე წვდომის უფლება, ან შიფრის გასაღები“.

პარალელი რომ გავავლოთ, ახლა მსგავს ფაქტს საქართველოში, რომ ჰქონოდა ადგილი, წარმოიდგინეთ, რა ვაი -ვიში, სკანდალს ატეხდა ქართული მედია, საგამოძიებო ორგანოებს რატომ უნდა ჰქონდეთ ჩვენს პერსონალურ მონაცემებზე თავისუფლად წვდომის უფლებაო.

ეს ერთი კონკრეტული ფაქტი არაფერია იმ ფაქტებთან, რაზეც ზვიად გაბისონიას ნაშრომი მოგვითხრობს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მოქმედებს სპეციალური კანონი **„პუბლიკაციებზე, რომლებიც უცენზურო გამოთქმებს შეიცავენ. ეს კანონი გარკვეული ასაკის მომხმარებელთა უფლებებს იცავს და უფრო კონკრეტულად ნიშნავს იმას, რომ მედიასაშუალებებს ამ კანონის მიხედვით, ეკრძალებათ უხამსი გამონათქვამების გამოყენება და მათ წინააღმდეგ სანქციებსაც ითვალისწინებს.** ახლა შეადარეთ ის ჩვენს სოციალურ მედიასივრცეში გამეფებულ უხამს გამონათქვამებს და მიხვდებით, რომ არც დასავლეთში არსებობს სრული მედიათავისუფლება, მათ შორის, სოციალურ ელექტრონულ სივრცეშიც და რომ კანონი იქაც ხისტია. ამ მხრივ გამონაკლისი არც იტალია ყოფილა, სადაც მოქმედებს კანონი „საავტორო უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პირატული კონტენტის ამოღებას და წინამორბედი ვებგვერდების სავალდებულო ბლოკირებას ითვალისწინებს.

ზვიად გაბისონიას ნაშრომი „ინტერნეტსამართალი“ ფართოდ მიმოიხილავს მედიასაშუალებათა საკანონმდებლო რეგულაციებს, მაგრამ არ შეიძლება, ამ მხრივ არ გამოიყოს ისრაელის მაგალითი. **2008 წელს ისრაელში წამყვანი ვებგვერდები შეთანხმდნენ თვითრეგულირების წესის შექმნაზე, რომლის თანახმადაც, მათ შეუძლიათ, თვალ-ყური ადევნონ თავიანთ საიტებზე მომხმარებელთა კომუნიკაციას და დაბლოკონ ისინი, ვისი კომენტარებიც კანონსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. ისრაელში თვითრეგულირება და თვითცენზურა ემყარება ჟურნალისტის ეთიკის ნორმებს, რომლებიც მსხვილმა იუნტერნეტგამოცემებმა, ბეჭდური მედიისა და სატელევიზიო კომპანიენიებმა მიიღეს. თვითცენზურის წესები ასევე ნაკარნახევია ისრაელის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და რელიგიის მიერ, რის გამოც ისრაელში განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ინტერნეტთან და „ბლოგოსფეროსთან“.**

ზვიად გაბისონიას ნაშრომიდან ნათლად დავინახეთ, რომ მსოფლიოში მედია, მათ შორის, ელექტრონული მედია არ ყოფილა აბსოლუტურად თავისუფალი, რასაც მავანნი ჩაგვჩიჩინებენ. როგორც დავინახეთ, კანონი ყველასთვის თანასწორია და როცა საკითხი ქვეყნის უსაფრთხოებასა და ადამიანის პირად უფლებებს ეხება, იქ მთავრდება მედიის აბსოლუტური უფლებაც და თავისუფლებაც.

ლევან ჭილლაძე
557 74 98 87

# უფალი კარგად შესრულებული როლისთვის არავის აჯილდოვებს

2018 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას სკანდალური ჩანაწერი გავრცელდა. დიალოგის ერთ-ერთ ეპიზოდში თემურ ალასანია ქართველებს „ავანტყოფ ერს“ უწოდებს, აგინებს, მუქარის შემცველ სიტყვებს არ იშურებს. მიხეილი, თავის „ნაცშნირებს“ ძალზედ თბილად მოიხსენიებს - მათ სირებს უწოდებს: „ამ სირებს ჰგონიათ, რომ ამათთან რაღაც დიდს მიაღწევ.“ რევოლუციის ლოდინით დაღლილი თემურ ალასანია: „მაგათი დედა მოვ... ან, მე ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ..ან „პროსტა“. ვინ არიან ესენი, ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის, ტო? დავიღალე, იცი, „პროსტა“ აი, ცდისგან. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ. რაღაც ზარებს ველოდები რაღაცას. მივდივარ-მოვდივარ... სულ რაღაცა ხვალ-ზეგ, აი, ახლა მოხდება, აი, ახლა მოხდება...“...

დიახ, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მოდუნდნენ, რაღაც სწორად ვერ გათვალეს და მიხეილიც გასკვანჩეს. ახლა, ბიძა დისშვილს ელოდება, დისშვილი კი - თავისუფლებას. არადა, უსასრულოა მათი ლოდინი...

ძნელია, „თანამებრძოლების“ შეფასებაში არ დაეთანხმო მიხეილს. „სირები“, რომ არიან, ნათლად ჩანს და ყოველდღე ამტკიცებენ. ნაწილობრივ ბიძამისსაც ვეთანხმები, რადგან „ნაცობა“, ავადმყოფობაა და „განაცება“ ამ ავადმყოფობის უმძიმესი სტადია.

უცნობია, სტოკჰოლმის სინდრომმა შეიპყრო თუ ვერცხლისმოყვარეობამ გუბაზ სანიკიძე, თაკო ჩარკვიანი, შალვა ხაჭაპურიძე, ვალერი გელბახიანი და სხვები, ვინც გუშინ მიხეილს ჯალალედინს ადარებდა, ჟვანიას და ასეულობით ადამიანების მკვლელობაში ადანაშაულებდა, კორუფციაში, სამშობლოს ღალატში და ათას უბედურებაში ამხელდა. დღეს ყველაფერს კადრულობენ, რათა მიშა დატყვევებულ, მომაკვდავ ანგელოზად წარმოგვიდგინონ და ისეთ სისულელეებს „აბრეხვებენ“, რომ გამწარებული სოცქსელის მომხმარებლები ყოველდღე „აწინაურებენ“ მათ დედებს.

რამდენიმე დღის წინ ხაჭაპურიძემ განაცხადა: „მიღებული მაქვს წერილები FDI-დან, ჯანმოდან, რომ აკრძალული წამლებით ხდებოდა მიშას მკურნალობა. არის იმ წამლებიდან რამდენიმე წამალი, რომელიც მსოფლიოში აკრძალული წამალია და წესით, არ უნდა მიეღო. მაგალითად, ამერიკაში ამჟამადაც ცოლ-ქმარი სასჯელს იხდის ერთ-ერთი წამლის გაყიდვისთვის. რუსული წამლებით მიდიოდა ძირითადად მისი მკურნალობა“. ანუ ამერიკაშიც იმ რუსულ წამალს ყიდდა ცოლ-ქმარი და მიშასაც სწორედ რუსული წამლებით მკურნალობდნენ. არადა, აფთიაქებში რუსული წამლები გამქრალია. მიშას ჯანმრთელობის სადარაჯოზე მისი ოჯახის და უახლოესი გარემოცვის მიერ მოწვეული ექიმები იდგნენ და რუსულ წამალსაც, თუ ასეთი ბუნებაში არსებობდა, სწორედ ისინი ურჩევდნენ და მიაწოდებდნენ.




აღმაშფოთებელია, სააკაშვილის უცხოელი ადვოკატის, **მასიმო დანჯელოს** ცილისწამება. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს ესაჭიროება დეტოქსიკაციის მიზნით უცხოეთის კლინიკაში გადაყვანა. „მის მიმართ გამოყენებული იყო პოლიფარმაცია. მას აძლევდნენ 14 სხვადასხვა პრეპარატს, ერთ-ერთი იყო სასიკვდილო და ძალიან მავნე წამალი. ეს არის ნევროლოგიური წამალი, შექმნილი და წარმოებულია რუსეთში. ფაქტობრივად, ამ წამლების შედეგადაც ის გახდა წამების ობიექტი. ამ წამლების მიღებამ გაზარდა ფატალური შედეგის რისკი. როგორც მასალებიდან ჩანს, ამ წამლების მიცემა ციხის საავადმყოფოში დაიწყეს. არავინ მინახავს მსგავს მდგომარეობაში, ერთ წელში ადამიანი გახდა იმ ადამიანის ანარეკლი, ვისაც ჩვენ ვიცნობდით“.

მასიმო დანჯელიმ, მიშას ზეობის ხანაში წამების ობიექტების ფოტოები, რომ ეხილა, არ იქნებოდა ურიგო. მათ, მიშასგან განსხვავებით, გახდომის მიზნით კუჭის ოპერაცია არ ჰქონდათ გაკეთებული და არც დიეტაზე იყვნენ...

„არესტანტის“ ყოფილი მრჩეველი, მეგობარი, ფრანგი ევროპარლამენტარი, **რაფაელ გლუკსმანი** წერს, რომ მომდევნო კვირას ევროპარლამენტარები მიხეილ სააკაშვილის ევროპულ საავადმყოფოში გადაყვანის მოთხოვნით „მობილიზებას“ გეგმავენ. „ევროპარლამენტში ვაპირებთ მთელი კვირით მობილიზებას, რათა მიშა ევროპულ ჰოსპიტალში გადაიყვანონ. რათა ჩვენმა ქვეყნებმა ხვალ არ დაუშვან პრეზიდენტის სიჩუმეში სიკვდილი, რომელსაც გუშინ ასე ჯიუტად არ უგდებდნენ ყურს“.

აღსანიშნავია, რომ რაფაელის მეუღლე ეკა ზღულაძე, რომელიც ჯერ მერაბიშვილის მოადგილე იყო და მიშას უკრაინაში „დამკვიდრების“ შემდეგ უკრაინის შს მინისტრის მოადგილე გახდა, 2015 წელს, რვა თვის ფეხმძიმე საფრანგეთში ქმართან - რაფაელთან მიემგზავრებოდა. ბორისპოლში საბაჟოზე დააკავეს ფულით სავსე ჩემოდნით, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები - ოთხი მილიონი აშშ დოლარი იდო. შესაბამისი ორგანოების კითხვაზე მადამ ზღულაძემ ღიმილით უპასუხა, რომ ეს მისი პირადი ნივთებია, ფული კი პარიზში სამედიცინო პროცესის ორგანიზებისთვის სჭირდებოდა. უცნობია, რაფაელის რეაქცია სარკოზის დაკავებასთან დაკავშირებით, არც პერუს პრეზიდენტის დაკავებაზე მსმენია მისი პროტესტი. ვფიქრობ, ვეღარც მიშასთვის მოიცლის, რადგან ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტი ევა კაილი და კიდევ ოთხი პირი ფულის გათეთრებაში, კორუფციასა და კატარის ინტერესების ლობირებაში არიან ეჭვმიტანილები, ასევე დაკავებულია ევროპარლამენტარ პანჯერის ცოლი და ქალიშვილი. მათ დასასვენებლად ასი ათასი ევრო დაუხარჯავთ. ასე, რომ რაფაელს საბრძოლო შემართება აღარ ექნება...

წლებია, ბოროტი ხმები დადის, ნაცხროვას ევროპარლამენტის „ბინადრები“ სერიოზული „კუშის“ სანაცვლოდ იცავენ და მფარველობენო. ნაცხროვის ელიტარულ „ტყავში“ საქართველოს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ძარცვით რამდენი მილიარდია გადაქაჩული, ვინ იცის და „გათეთრებაში“ რატომ დაზოგავენ ქარის მოტანილს.

ათი წელია, გააფრთებულები, ყველა ბინძური ხერხით ამაოდ იბრძვიან ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად, უტიფრად ცდილობენ, ქვეყანა და ხალხი შეცდომაში შეიყვანონ და ბოლომდე დააქციონ, ომში ქვეყნის ჩაბმის დაუოკებელი სურვილი და მოწოდებაც სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა.

„ნაცყულაბაზე“ ჩამოკიდებული მედია პირნათლად ასრულებს ხროვის დავალებებს და წუწუნებს მათ მიმართ სოციალურ ქსელში გამოხატული აგრესიის გამო. **„ნაციონალური მოძრაობა“, მართალია, ჯერ კიდევ ფართხალებს, მაგრამ ძალიან მალე დალევს სულს ისე, რომ ჭირისუფალიც არ ეყოლება, რადგან მისი სიკვდილი ნაცების კოლექტიურ სიკვდილს გამოიწვევს...**

სინამდვილეში, მიშას პოტენციური მკვლელები ისინი არიან, ვინც დაარწმუნა, ჩამოდი და საზღვრიდან დაფნის გვირგვინით შემოგაბრძანებთო, ახლა კი ეძებენ „მრჩეველს“, მაგრამ ამაოდ. მიშას პოტენციური მკვლელია ის, ვინც მაშინ ეს სლოგანიც მოუწონა - „ნულოვანი ტოლერანტობა, არანაირი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეში“. იმდენი გამწარებული ქალისა და კაცის წყევლა აღევლინა კოსმოსში, რომ მიშას ცხრა თაობას ეყოფა.

მისი პოტენციური მკვლელები არიან ისინი, ვინც არწმუნებდა ხალხის დასაშინებლად და დასაჩმორებლად პირდაპირ ქუჩაში ჩაეხოცათ ახალგაზრდები. „ეჭვმიტანილებს“ სასტიკად გასწორებოდნენ (აფრასიძეების საქმე და არამარტო), ბოლომდე გაენადგურებინათ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და საწინააღმდეგო აზრის მქონე პირები. რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდისთვის ჩაეკლათ ეროვნული სული. არ დარჩენილა სფერო, რომელსაც მიშას და მისი ხროვის საცეცები ვერ მისწვდა და გაანადგურა. რასაკვირველია, ამას ყველაფერს მის მიერ მსუყედ ნაკვები „დასავლელი პარტნიორები“ და ხროვაც იწონებდნენ. ის ხროვა, რომელსაც დღეს მიშას ევროპულ ციხეში ყოფნა საფრთხის შემცველად მიაჩნია და საუკეთესო საავადმყოფოში მის სასჯელის მოხდასაც აპროტესტებს. ჰოდა, როგორც ძია „ტიმური“ ღაღადებდა, ამიტომაც არიან „ავანტყოფები“.

მიშას ზეობის ხანაში ბრალდებულების უმეტესობას სახლკარი გააყიდინეს ან უზარმაზარი ვალები აღებინეს სასჯელის შესამსუბუქებლად, ჯანმრთელობა დიდი ხნით შეურყიეს და მათი არცთუ უმცირესობა საშინელი წამებით დახოცეს. აღნიშნულის შესახებ უამრავი უტყუარი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ „ავანტყოფებს“ ამნეზიაც სჭირთ. თუ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მიშაც იგივე პირობებში უნდა იხდიდეს სასჯელს, არც იმდენი მნახველი უნდა ჰყავდეს, რუსული წამლები რომ არ მიაწოდონ, და ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, მაგრამ...

ჰოდა დარდობს ახლა მიშა, ამხელა გაქანების კაცი მოატყუეს, გმირი გახდებიო, ჩამოიყვანეს და ჩმორად აქციეს. მილიარდების პატრონი წევს საუკეთესო საავადმყოფოს პალატაში და ნერვიულობს, რამდენ ქალთან მოასწრებდა კიდე „შვლიჭინს“ წელიწადსა და ორ თვეში. რამდენ ფულს „მოღუნავდა“ უკრაინაში. ის კი გალიაშია და ადრინდელივით ვეღარ ჭიკჭიკებს. „არაადამიანობა“ ეს, აბა რა.

მართალია, მას დიდი ფული ვიღაცვიღაცეებს „ფერისცვალებაში“ დაეხმარა, მაგალითად, მის ადვოკატ ხაჭაპურიძეს, რომელიც წარსულში მიშაზე ამბობდა, ჟვანიას საფერფლე ესროლა მოკლა და მერე მისმა შნირებმა დადგეს საბურთალოს ქუჩაზე სპექტაკლიო. თან ევროსაბჭოს მიშას ბანდის მიერ ასობით მოკლულის სია „ჯიგრულად“ მიაწოდა, ხო, ნუ, რა მოხდა, ახლა მიშას ჭირისუფლად რომ იქცა, კანონი ხომ არ დაურღვევია? აი, მორალს, მიშას მაქებარ ჭირისუფლებს, თხოვნა მაქვს, ნუ მოსთხოვთ.

იმ ცოდვისშვილს, „დიდ ექსპერტ“ მარიამ ჯიშკარიანს, მიშას ზეობის ხანაში რამდენი დალეწილი პატიმარი ჰყავს თავისი თვალით ნანახი, რამდენი უმძიმესი ავადმყოფი, რომლებსაც ყველა პარამეტრით, კანონით ეკუთვნოდათ სასჯელის გადავადება და უკანონოდ ციხე კოლონიაში დალიეს სული.

ის ჟურნალისტები, რომლებმაც საკუთარ ტყავზე იწვნიეს რეჟიმის უკანონო ქმედებები, დღეს ნაცტელევიზიებში მოსთქვამენ. „ავანტყოფი“ ერი კი არა, „ავანტყოფები“ ნაცები არიან, თავიანთ მიმდევრებთან ერთად. სოციალური ქსელის მომხმარებლების უმეტესობა დაცინის, ლანძღავს დიდ ბელადს და ხელისუფლებას მოუწოდებს, დააბრუნოს მთავარი „ავანტყოფი“ ციხეში, ან ფსიქიატრიულში მოახდევინოს სასჯელი. აი, რას წერს ერთ-ერთი მომხმარებელი: „ყველა ბილეთი გაყიდულია! საქართველოში წარმატებით გრძელდება გამოჩენილი კრიმინალის, ვირტუოზი რეციდივისტის, აღიარებული სადისტისა და დამსახურებული სერიული მკვლელის, მიხეილ სააკაშვილის სოლო კონცერტი. ხელისუფლებავ, როდემდე?! გადაიყვანეთ ხონის ფსიქიატრიულში!“

და ბოლოს, ყველა ადამიანი მსახიობია, ცოდვილები იბადებიან და ხალხის დასანახავად ცხოვრების ბოლომდე ანგელოზებს თამაშობენ, თუმცა მათი როლი სიცოცხლის ბოლოს მთავრდება და თეტრის გულუხვი მაყურებლებისაგან განსხვავებით, უფალი კარგად შესრულებული როლისთვის სამოთხით არავის აჯილდოვებს...

**ქეთევან ზარნაძე**

# „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“

## საგურამოში „დავით გურამიშვილის „დარბაზის“ საწარდგინებო სხდომაზე დავით გურამიშვილის უკრაინიდან გადმოსვენებისა და წმინდანად შერაცხვის საკითხი დაისვა

**„დავით გურამიშვილის ანალიტიკური დარბაზის“ შექმნა ფრიად საშური საქმეა ქართველი ერის მარადმყოფლობისათვის.**

**დავით გურამიშვილის ბედ-იღბალი სწორედ რომ ანარეკლია საქართველოს სახელმწოს ბედუკუღმართი ისტორიისა.**

**გურამიშვილის დროს და მანამდეც თუ მერეც, ქართველი ემიგრანტები თუ ასეულობით იყვნენ, დღეს მათი რიცხვი მილიონებს ასცდა.**

**„დავით გურამიშვილის დარბაზის“ სამოქმედო არეალი უნდა იყოს როგორც საქართველოს შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკის საკითხების გაანალიზება და მოქმედი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის რეკომენდაციების გაწევა.**

**გურამიშვილის ნეშტის გადმოსვენებაც, დიახაც, საშური საქმეა და ეს საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს.**

**ზურაბ ქობალია**

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს საგურამოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, საგურამოს ეკლესიის წინამძღვრის მამა ტარიელის (სიკინჭილაშვილი) ლოცვა- კურთხევით, მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა, ასევე საგურამოს გამგებლისა და საგურამოს დავით გურამიშვილის სახელობის სკოლის ადმინისტრაციის მიწვევით „დავით გურამიშვილის დარბაზის“ პირველი საწარდგინებო სხდომა გაიმართა.

„დარბაზის“ წარდგინებას განაგებდა მისი მთავარდამფუძნებელი, ბატონი გიორგი ჯავახიშვილი. სხდომას პროცედურულად უძღვებოდა „დავით გურამიშვილის დარბაზის“ სამეცნიერო ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დენიზა სუმბაძე. მასპინძელი გახლდათ ბიბლიოთეკის გამგე, ქალბატონი თამარ მათურელი. ბიბლიოთეკის მკითხველებთან ერთად სხდომას ესწრებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტიდან ქალბატონი შორენა არჯევანიძე კოლეგებთან და მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. „დარბაზის“ წარდგინებით სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე მოძრაობა „საქართველოს შვილებისა“ და ტელევიზია „კავკასიის პრესის“ (PKTV-ს) წარმომადგენლები: ქეთი სესიაშვილი და ზაქარია როჭიკაშვილი. მათი დამსახურებით პირველი საწარდგინებო სხდომა სრულად არის ფირზე აღბეჭდილი. სხდომას ესწრებოდა ასევე ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ქალიშვილი თამთა კოსტავა.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა გიორგი ჯავახიშვილმა, რომელიც „დავით გურამიშვილის დარბაზის“ შექმნაზე 30 წელიწადი ფიქრობდა.

გიორგი ჯავახიშვილმა გამოსვლაში ქართული ლიტერატურის მკვლევარების მიერ გაჟღერებული არასწორი მოსაზრების შესახებ ისაუბრა და საბოლოო პასუხი გასცა მავანთ დავით გურამიშვილის დაუმსახურებელ და უსამართლო ბრალდებაზე.

„არასწორად არის დავით გურამიშვილი გაგებული! ის ლეკებს ორჯერ გაექცა: პირველად საქართველოსკენ წამოვიდა. დაედევნენ ცხენებით, გზაში დაიჭირეს, მიაბრუნეს, ჩააგდეს ისევ ორმოხაროში. მეორედ ორ დღეში გაიქცა და უკვე რუსეთისკენ წავიდა. მდევარი აქეთ, საქართველოსკენ წამოვიდა და ვეღარ დაიჭირეს...“

ბატონი გიორგი ხაზს უსვამს, რომ აღმოსავლეთის ბაზრებზე გასაყიდი კაცის დაღესტნური ტყვეობიდან თავდახსნისათვის რუსეთი ის გეოგრაფიული მიმართულებაა, რომლითაც მდევარი შეცდომაში შეჰყავს. დავითმა იცის, რომ მდევარი სამშობლოს მიმართულებით გაქცეულს გამოეკიდება და პირველი გაქცევის დროს დაშვებული შეცდომა აღარ უნდა გაიმეოროს. რუსეთისაკენ გაქცევა არა მორალურ-პოლიტიკური, არამედ სტრატეგიულად ზუსტი ქმედება და თავის დახსნის გარანტირებული პერსპექტივა იყო, რის გამოც ის იძულებით ემიგრაციაში აღმოჩნდა. მისი ცნობილი პოემა „ქართლის ჭირი“, ერთდროულად არის ჭირი საქართველოსი და ჭირი დავით გურამიშვილისა - ჭირშეყრილი სამშობლოს მამულიშვილისა. და ეს ყველაზე კარგად იცის თვითონ დავით გურამიშვილმა...

„საგურამოს დავით გურამიშვილის დარბაზის“ პირველივე საწარდგინებო სხდომაზე ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ მე-19 საუკუნის დიდი ილია ჭავჭავაძისეული ეროვნული მოძრაობა მე-18 საუკუნის დავით გურამიშვილისეული ეროვნული აბობოქრების გაგრძელებად წარმოადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ გაჟღერდა უკრაინის ტერიტორიაზე დავით გურამიშვილის საფლავის დაცვის საკითხი, სადაც ამჟამად რუსეთ-უკრაინის ომი და საომარი მოქმედებებია. მომხსენებლის განცხადებით, თავად გარემოება გვკარნახობს, როგორც დიდი პოეტის ჭირისუფალ ერს, დავიცვათ მისი საფლავი და თავად დავით გურამიშვილის ანდერძისამებრ მშობლიურ მიწაზე გადმოვასვენოთ. ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია წმინდანად მისი შერაცხვაც.

მიმდინარე წლის 14 ნოემბერს თბილისში, საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გაერთიანების „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა დენიზა სუმბაძემ საგურამოს „დავით გურამიშვილის დარბაზის“ საწარდგინებო სხდომის სადღეისოდ საჭირბოროტო და აქტუალური საკითხების „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ მხარდამჭერი სხდომა მოიწვია.

სხდომის წამყვანმა და მომხსენებელმა, ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ ისაუბრა დიდი მგოსნისა და მამულიშვილის დავით გურამიშვილის ფენომენზე საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან და მსოფლიოს დღევანდელ პოლიტიკასთან, ანუ ე.წ. „ახალ წესრიგთან“ მიმართებაში. მან ბრძანა: „დღეს, როდესაც ომია უკრაინასა და რუსეთს შორის, როდესაც მსოფლიოს ქვეყნები ასე აღშფოთებული და შეწუხებული ვართ, როგორც პანდემიის, ბაქტერიოლოგიური და შეიარაღებული ომების გამო, ვფიქრობ და ვაცხადებ, რომ დავით გურამიშვილი, როგორც ერთ-ერთი უდიდესი მქადაგებელი მოყვასის ქრისტიანული სიყვარულისა, უკრაინის ქალაქ მირგოროდში, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოში მდებარე მისი საფლავიდან მოგვიწოდებს, გამოვიდეთ მსოფლიო ხალხებისადმი მშვიდობის მოწოდებით და არა მხოლოდ უარვყოთ ჩვენი ქვეყნის ჩართვა და მონაწილეობა საომარ მოქმედებებში, არამედ დავგმოთ ის ქმედებებიც, რომლებიც ხელს უწყობენ საომარ ქმედებათა გამწვავებას და რუსეთ - უკრაინის ომის მსოფლიო ომად გადაქცევას“.



საქართველო უნდა გამოვიდეს მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ქვეყანა, რომელიც მშვიდობისკენ მოუწოდებს. საქართველომ, ქართველმა ხალხმა, და ერმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეძლოს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევა; გაარკვიოს, არის თუ არა ქართველი ერისა და მისი ქვეყნის - საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოს პოლიტიკური მრწამსი და მიმართულება ერთმანეთის თანხვედრილი და იდენტური?! არის თუ არა საქართველოს სახელმწიფოს ზნეობრივი კანონმდებლობა და ქართველი ხალხის ზნეობრივი პრინციპები იდენტური? და თუ არ არის, ვინ და რა ძალა დგას ქართველ ხალხსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, რომელიც ანგრევს ინტერესთა იდენტობას ქართველ ხალხსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის?! საქართველოს დღეს ისეთივე ტერიტორიული განსაცდელი აქვს, როგორიც რუსეთს უკრაინასთან მიმართებით: ის, რაც უკრაინაა რუსეთისთვის, საქართველოსთვის არის აფხაზეთი. და ჩვენ გვაიძულებენ უკრაინის მხარეს ჩავებათ რუსეთის წინააღმდეგ ომში.

ქალბატონმა დენიზა სუმბაძემ შეგვახსენა დავით გურამიშვილის ანდერძი მშობლიური ქვეყნისადმი: „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. დღეს დავით გურამიშვილის საფლავი ჭირისუფალი ერისგან დაცვას ითხოვს. ერთი მხრივ, როგორც წმინდანის საფლავი, დავით გურამიშვილის საფლავი დგას, როგორც ურყევი სამშვიდობო კელაპტარი და სიმბოლო ქრისტიანული მოყვასის სიყვარულისა ხალხებს შორის, მეორე მხრივ - ანდერძი დიდი მგოსნისა მშობლიური ქვეყნისადმი და მორალური პასუხისმგებლობა მშობელი ერისა და ეროვნული ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევით მისი აღსრულებისა.

გამოსვლის ბოლოს დენიზა სუმბაძემ გააჟღერა ტრაგიკული ამბავი, რომ იმ დილას სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა „დავით გურამიშვილის დარბაზის“ დამფუძნებელი გიორგი ჯავახიშვილი. დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

ძვირფასო მამულიშვილნო! ჩვენ, საქართველოს ხელისუფლების უშუალო ჩარევითა და ძლისხმევით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შევძლოთ დიდი ქართველი მგოსნის დავით გურამიშვილის ნეშტის მის მშობლიურ სოფელში, საგურამოში გადმოსვენება, რომელიც მშობლიურ ქვეყანას სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც დანატრებული იყო. ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საკითხია!

**არჩილ თოდუა,**
**სრულიად საქართველოს,**
**სრულიად საკაცობრიო**
**თეოლოგიურ-პოლიტიკური**
**მოძრაობის**
**„ერის უფლება და**
**ღირსების“**
**პრეზიდიუმის წევრი**



# ქართული ფეხბურთის სიხარულის კაცი





ზუსტად 40 წლის წინათ, 1982 წლის 13 დეკემბერს, საქართველომ შოკისმომგვრელი ინფორმაცია შეიტყო - ხარაგაულის სოფელ უბისაში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეიწირა ლეგენდარული ფეხბურთელი, 25 წლის ვიტალი დარასელია.

მამით ობოლმა, კარგად იცოდა შრომის ფასი, დედას გვერდით ედგა და ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობდა. აღიარება და დიდი სიხარული საქართველოს ფეხბურთით მიანიჭა.

თბილისის „დინამოს“ თავისი არსებობის ისტორიაში მანამდე და მერეც ბევრი ლამაზი და მნიშვნელოვანი ბურთი გაუტანია. ვიტალი დარასელიამ ქართულ ფეხბურთის გულშემატკივრებს უმნიშვნელოვანესი გოლი აჩუქა, რომელიც მოგვიანებით მეოცე საუკუნის საუკეთესო გოლად დასახელდა.

„ჩემთვის დასრულდა ეპოქა, რომლის საძირკველი ვიტალი დარასელიას ფენომენი იყო“, - ამ სიტყვებით დაემშვიდობა საყვარელ ფეხბურთელს ოჩამჩირეში დაკრძალვის დღეს საუკუნის მწვრთნელად აღიარებული ნოდარ ახალკაცი.

მთელი საქართველო ზეიმობდა თბილისის „დინამოს" მიერ ევროპის პრესტიჟული ჯილდოს - თასის მფლობელთა თასის მოპოვებას - 1981 წლის 13 მაისი და ამ მატჩში ვიტალი დარასელიას მიერ გატანილი გოლი ქართული გენის ღირსების დღესასწაულად უნდა მივიჩნიოთ.

ვიტალი დარასელიამ ფეხბურთში პირველი ნაბიჯები ოჩამჩირის „ამირანის“ ბავშვთა გუნდში ვადიკ აფენდოპულოს ხელმძღვანელობით გადადგა. სწორედ მისი რჩევით გადავიდა ვიტალი ბონდო კაკუბავას ძირითად გუნდში, საიდანაც დაიწყო მისი წარმატებები და გაგრძელდა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. 1975 წლის 11 მაისს ვიტალიმ სადებუტიო მატჩში ჩაატარა ქვეყნის უპირველეს გუნდში. თავის ხანმოკლე კარიერაში ერთხელ (1978 წ.) ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ორჯერ (1976-1979წ.წ.) საკავშირო თასს დაეუფლა, 1981 წელს თასის მფლობელთა თასი მოიგო და „ფრანს ფუტბოლის“ 10 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის დაასახელეს, 1976 წელს კი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა.

ვიტალი დარასელია აფხაზეთში ეროვნულ გმირად არის აღიარებული.

„მამის მიმართ სიყვარული ჩვენზე გადმოდის, ისე გვხვდებიან, როგორც გმირის შვილებს, ადგილობრივი ფეხბურთის თავკაცებისა და ცნობილი ფეხბურთელის, აჩრიკ ცვეიბას ხელმძღვანელობით, ყოველწლიურად ტარდება მამაჩემის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი“, - ეს სიტყვები ვიტალი დარასელიას ქალიშვილს, ქრისტინას ეკუთვნის, რომელმაც ოჯახური ბედნიერება წინა თაობის ფეხბურთელს, გიორგი ანჩაბაძეს დაუკავშირა. ქრისტინა ამაყობს მამის ჯილდოთი, რომელიც მის მამას ევროფეხბურთის მაღალჩინოსნებმა დუსელდორფის ფინალურ მატჩში გატანილი გოლისთვის გადასცეს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი: 1978 წლის 27 სექტემბერს თბილისის „დინამო“ ევროტურნირის მატჩს ატარებდა იტალიურ „ნაპოლისთან“. იმ დროს ვიტალის ოჯახი ვაჟს ელოდებოდა. ახალშობილს, მამის გადაწყვეტილებით, გოლის ავტორის სახელი უნდა დარქმეოდა. 1:1 დამთავრებულ მატჩში თბილისელთაგან ბურთი ვიტალი დარასელიამ გაიტანა. ასე მოევლინა ქვეყანას ვიტალი ვიტალის ძე დარასელია - შვილი ქართული ფეხბურთის რაინდისა. უმცროსი ვიტალი დღეს ოკეანის გაღმა, ამერიკაში საქმიანობს - „ვიტა ჯორჯიას“ ვეტერანი ფეხბურთელების - გიორგი და პაატა დათუნაიშვილების მიერ დაარსებულ „ვიტჯორჯიას“ ბრუკლინის გუნდში, რომლის წევრები სამშობლოდან საცხოვრებლად წასული ქართველი ემიგრანტების შვილები არიან. მათ შორის არის თბილისის „დინამოს“ აკადემიის აღზრდილი, მესამე თაობის ვიტალი დარასელია.

დღეს ვიტალი დარასელიას სახელს ატარებს მშობლიური ოჩამჩირის სტადიონი, რომლის მიმდებარედ დგას ვიტალი დარასელიას სახელობის მემორიალური დაფა. თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია ვიტალი დარასელიას სახელობისაა. 2016 წელს, ტრაგედიის ადგილზე, სოფელ უბისაში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სკვერი მოაწყო და ქართული ფეხბურთის ლეგენდას - ვიტალი დარასელიას ძეგლი დაუდგა.

ვიტალი დარასელიას 2022 წლის 9 იანვარს 65 წელი შეუსრულდებოდა.

უფალს ებარებოდეს მისი ცამდე ამაღლებული სული.

**ბეჟან ჩხეიძე**
555 41 97 33







„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge

რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99